დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ხატიაშვილი

წევრები:

თამარ ჩხიკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ლალი ნადირაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,);
ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	**200007875**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისის, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისის, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
საფოსტო ინდექსი	0191
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/BLN14
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi149@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593 27 21 37

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 2 აგვისტოს MES 8 23 0000954820 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 7-8 სექტემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	თბილისის, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	თბილისის, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	თბილისის, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

თბილისის 149 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები ეხებოდა პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზსა და სკოლის ეზოს კეთილმოწყობას, ასევე, სკოლის ღობისა და ღია მოედნის მოწყობას. მიუხედავად მიმდინარე სამუშაოებისა და სწავლის დაწყების დროის გადადებისა, სკოლა ემზადებოდა ახალი სასწავლო წლის დასაწყებად. სკოლის მასწავლებლები დირექციასთან ერთად ზრუნავდნენ როგორც სასკოლო გარემოს მოწესრიგებაზე, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო, სკოლას ჰყავს მოტივირებული გუნდი, რომლის წევრებიც მთელი გულით და ენთუზიაზმით იყვნენ ჩართულები სკოლის ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში. ეს თვალსაჩინო იყო მათ მიერ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის შემდგომ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. სკოლის ავტორიზაციის ექსერტთა ჯგუფს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ ვიზიტი წარმართულიყო მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება მივიჩნიოთ სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და ხელშეწყობით მრავალფეროვანი პროექტების განხორციელება. გამოვყოფთ მაგალითად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტს ,,სასკოლო არქოლოგია". პროექტის ფარგლებში სპეციალურად გადამზადებული საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები(ინსტრუქტორები), საგანგებოდ მოწყობილ ველზე სკოლის წარმომადგენლებთან ერთად წარმართავენ სასწავლო-შემეცნებით (იმიტირებულ) არქეოლოგიურ გათხრებს, პროექტის ბენეფიციარები მოიპოვებენ არტეფაქტებს, ახდენენ ამ ნივთების ფიქსაციას, დამუშავებას, ავსებენ არქეოლოგიისთვის აუცილებელ საველე დღიურს და სხვ. პროექტში ჩართულები არიან თბილისის კერძო და სხვა საჯარო სკოლების II-VII კლასების მოსწავლეებიც. პროექტით გათვალისწინებული შეხვედრები და საინფორმაციო პრეზენტაციები მიმდინარეობს სკოლის კეთილმოწყობილ საბიბლიოთეკო სივრცეში, რომლის განახლება და აღჭურვა, თავის მხრივ, სხვა პროექტების ფარგლებში მოხდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1200**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის პროგრამა

საბაზო საფეხურის პროგრამა

საშუალო საფეხურის პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლა მიეცა რეკომენდაცია, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს: ა)სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა; ბ)სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოადგენა .
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.2	*სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;*	*სასურველია სკოლის ხედვა რეალისტური და მიღწევადი იყოს. ვინაიდან ქვეყანაში არ არის ჯერ დადგენილი საუკეთესო/ლიდერი სკოლების გამოვლენის მექანიზმი და არც შესაბამისი კრიტერიუმებია განსაზღვრული, გადასახედია, რამდენად რეალისტური იქნება კონკრეტულ ვადაში სკოლის მიერ გაცხადებული ხედვის რეალიზება.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სწავლების მიმართულებით სასურველია თითოეული საგნის სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის გაუმჯობესება/სრულყოფა. სასურველია ამ საგნების სწავლებისათვის სკოლის მიერ გარკვეული სივრცის გამოყოფა და თანამედროვე კაბინეტების / ლაბორატორიების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		მოწყობა, ქიმიის ლაბორატორიაში გამწოვი სისტემის მონტაჟი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინდა ზოგიერთი რჩევის გათვალისწინებით გადამუშვებული დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის გაცხადებული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. „მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სამოქალაქო საქმიანობებით შექმნას პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი სოციო-კულტურული საგანამანათლებლო სივრცე, რომელიც სკოლის თითოეულ მოსწავლეს მისცემს საკუთარი პოტენციალის აღმოჩენისა და რეალიზების საშუალებას პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად“ .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. წარმოდგენილი მისიითა და ხედვით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მისიაში გამოკვეთილია მოსწავლის მხარდამჭერი და პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები.

   აქვე სკოლის ხედვაში ვკითხულობთ, „2030 წლისთვის გახდეს ლიდერი ათ საუკეთესო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, რომელიც კვალიფიციური კადრებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს მეშვეობით უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, მოსწავლეთათვის ხარისხიანი, თანადროული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და იმ უნარებით აღჭურვას, რომელიც საჭიროა წარმატებული მომავლისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის.“ ერთის მხრივ კარგია, როცა სკოლას კონკრეტული ვადისთვის აქვს განსაზღვრული სკოლის ხედვა, თუმცა მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია რამდენად რეალისტური იქნება კონკრეტულ ვადაში ამ ხედვის რეალიზება, ვინაიდან ქვეყანაში არ არის ჯერ დადგენილი საუკეთესო სკოლების გამოვლენის მექანიზმი და არც შესაბამისი კრიტერიუმებია განსაზღვრული, მნიშვნელოვანია, ხედვა სასურველთან ერთად რეალისტური და მიღწევადი იყოს.

   სკოლის მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ მას სურს დაიმკვიდროს ადგილი და იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული შესაძლებლობები, გამოთქვამს მზაობას მათ მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლამ საავტორიზაციო განაცხადის მომზადების პროცესში გადაწყვიტა მისიისა და ხედვის რევიზია, რისთვისაც პირველ ეტაპზე შექმნა სტრატეგიულ გეგმაზე/დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფი.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (*„სკოლის დირექტორის ბრძანება N2-242 სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“)* რომლითაც დამტკიცებულია გუნდი, რომელიც კონკრეტულად სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების რევიზიის პროცესში იღებს მონაწილეობას. ჯგუფში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია წარმოდგენილი, რომელიც ჩართულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის თანმდევ პროცესებში. აღნიშნულმა ჯგუფმა თავისი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელა სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 19 მაისის N4 ოქმით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ ძირითადი პრინციპებით, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი და შესაბამისი ფორმები. სკოლასთან ინტერვიურების დროს სკოლის დირექიცამ წარმოადგინა ის უკუკავშირი, რომელიც ჯგუფმა მიიღო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს ყველა სტრუქტურული ორგანო, მათ შორის სკოლის პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, (რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი ფორმატით, აერთიანებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს) სკოლის დისციპლინური კომიტეტი. ყველა რგოლი აქტიურად იყო ჩართული სკოლაში მიმდინარე პროცესებში. სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და დირექციასთან ინტერვიურებით კი დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. უზრუნველყოფილია სკოლის მიერ გაცხადებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა. კერძოდ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლაშიც და სკოლის ვებ გვერდზეც **https://shorturl.at/BLN14** . სკოლამ საავტორიზაციო პროცესში შეიმუშავა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, სადაც ასევე განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება, „სსიპ თბილისის N149 საჯარო სკოლა“, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების თანახმად, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N10*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-242 სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-368 სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ;*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;*
- *სკოლის ვებ გვერდი* **https://shorturl.at/BLN14** *და სოციალური გვერდი https://www.facebook.com/149publicscool/ ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 19 მაისის სამეურვეო საბჭოს მე-4 სხდომაზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს იმ ეტაპებს, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აუცილებელია სკოლის სტატეგიული გეგმის შემუშავებისათვის. კერძოდ, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; მისიის ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა; სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება; ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება; მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიაში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა მაგალითად, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, დაკვირვება, სვოტ ანალიზი და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა და შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა და მისი შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის 2023 წლის 09 ივნისის N2-242 ბრძანებით სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფს თავისი საქმიანობის ფარგლებში დაევალა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია, ამასთან, სკოლის სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმის პროექტისა და სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმის შემუშავება 2023 წლის 05 სექტემბრამდე. ასევე, სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი (4.09.2023), რომელითაც დასტურდება აღნიშნული დოკუმენტების სამეურვეო საბჭოს მიერ განხილვა.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, რადგან როგორც მისიაშია გაცხადებული, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი სოციო-კულტურული საგანამანათლებლო სივრცის შექმნა, სტრატეგიაში ასახული მიზნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ცხადად ჩანდა, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის მზაობა და მზადება უკვე დაწყებული იყო სკოლაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტად სკოლას ატვირთული ჰქონდა მოქმედი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023 ს/წ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა 2023-2024 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად სკოლამ გამოაგზავნა ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმა და მისი შემუშავების პროცესი შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვულ პროცედურას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს სკოლის თვითშეფასებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის თითოეული მიმართულებით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე, რაც რეალისტურს ხდის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N10*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-242 სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის #149 საჯარო სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2-370 სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 2023-2024 წლები დამტკიცების შესახებ;*
- *სკოლის სტატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;*
- *სკოლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი იყო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კერძოდ, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი ამოცანების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამისი ჯგუფი/ჯგუფები. სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, სამ წელიწადში ერთხელ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის წესი. ამ წესის შესაბამისად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამისი ჯგუფი/ჯგუფები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი იგეგმება წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად აუცილებლად სასწავლო წლის ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ სემესტრულად. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმების (მაგალითად, ანკეტირება, ინტერვიუ, დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ჩეკლისტები, კითხვარები) გამოყენებით. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ საგნობრივი კათედრების, დამრიგებლების, მრჩეველთა საბჭოს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამისი ჯგუფი/ჯგუფების წლიური ანგარიშების საფუძველზე, ფასდება სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა თითოეული მიმართულების მიხედვით. შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლის სტატეგიული განვითარების გეგმას ითანხმებს სამეურვეო საბჭო, რომელიც თავისი ფორმატით შედგება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან. მასვე აბარებს ანგარიშს სკოლა შესრულებული სამუშაოების შედეგების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი სწორედ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის განხილვა იყო. სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს მოხსენება/ანგარიშს სკოლის სტატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შესახებ. ანგარიშში საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი სასწავლო წლის მანძილზე სკოლის მიერ განხორციელებული სამუშაო სამოქმედო გეგმის თითოეული მიმართულებისთვის. იკვეთება, რომ სკოლას აქვს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგების პრაქტიკა და უკუკავშირის მიღების გამოცდილება. სკოლას დაგეგმილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციისა და ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე, სკოლის დირექციისა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრების მიერ სტრატეგიული მიზნების გადახედვა და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება/ცვლილება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ინფორმირებულნი სასკოლო საზოგადოების წევრები, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სკოლის დირექტორისა და მოადგილის შემაჯამებელ ანგარიშებში ასახულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად ქვეყნდება სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის პირად გვერდზე. სკოლა იაზრებს, რომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა და ამ მიმართულებით გეგმავს სკოლის ვებგვერდზე ამ ინფორმაციის განთავსებასაც სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ მათი შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტარატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა ფასდება თითოეული მიმართულების მიხედვით და შესრულების შედეგები აისახება ანგარიშში. შემდგომი დაგეგმვის პროცესი კი ეყრდნობა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებლების და სხვა მხარდაჭერის ჯგუფები) წლიურ ანგარიშებს. მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება წინა სასწავლო წელს გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციებისა და დირექტორის ანგარიშში წარმოდგენილი შედეგებისა და სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3.*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 6;*
- *სკოლის სტატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;*
- *სკოლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას თვითშეფასების ფორმაში აღნიშნული ქონდა რომ იაზრებდა ისეთი ჩარჩო დოკუმენეტის შექმნის საჭიროებას, რომელშიც დაზუსტებული იქნებოდა სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების დეტალები და 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავდა შეექმნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა გაწერილი სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები, ღირებულებები, მართვის ციკლი, სტრატეგია, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

   მართლაც, სსიპ თბილისის 149 საჯარო სკოლას დირექტორის მ/შ 2023 წლის 16 აგვისტოს N2-344 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტის მიხედვით, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის სტრუქტურაში მოიაზრება ასევე, კოლეგიური სამუშაო ჯგუფები და თანამდებობრივი პოზიციები. დოკუმენტში განსაზღვრულია თანამდებობის/ პოზიციის დასახელება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრუქტურული ერთეული, შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები), სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვ. კარგია, რომ სკოლამ იზრუნა სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა ადამიანური რესურსების მართვა, თუმცა სასურველია, სკოლამ მოახდინოს დოკუმენტის გადახედვა/რევიზია და სხვადასხვა მუხლსა თუ პუნქტში აღწერილი სტრუქტურული ერთეულის/აღწერილობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს. მაგალითად, პირველ რიგში, მიზანშეწონილია დოკუმენტის გვერდების დანომვრა. ასევე, თავი 4 სკოლის სტრუქტურაში, 6 მუხლში მოცემული გრაფიკული გამოსახულების შინაარსი არ ემთხვევა 7 მუხლში ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ ერთეულებს. დიაგრამაში ალბათ შეცდომით წერია „სამეურნეო საბჭო“, ასევე დიაგრამაში მოხსენიებული მრჩეველთა საბჭო აღარ არის დოკუმენტში შემდგომ ნახსნები და გაუგებარია მისი ფუნქციები. ასევე, 5-9 თავებში, სადაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა ფუნქციები თითოეული მუხლის მე-2 პუნქტში წერია, რომ ასრულებს „წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებსო“, სიტყვა „წინამდებარე“ აქ უადგილოა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტი მექანიკურად აერთიანებს შრომითი ხელშეკრულების ნაწილებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ განახლებულ დოკუმენტში რჩევა გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში

სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე. დოკუმენტი მიმართულია სკოლის სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევაზე და ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, სკოლამ აღნიშნა, რომ არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში ჩართულობა ყველაზე უკეთ ვლინდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები (კურიკულუმის შემუშავება, სახელმძღვანელოების შერჩევა, პროექტების დაგეგმვა, საათების განაწილება და სხვა.), აღნიშნულ პროცესს ფასილიტაციას უწევს სკოლის დირექცია, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებული დოკუმენტის პროექტს განსახილველად წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მოსწავლეთა მშობლები, საგნის მასწავლებლები და თვითმმართველობის წარმომადგენელი. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სასკოლო სასწავლო გეგმა განიხილება და ხმათა უმრავლესობით მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სკოლის მიერ დადგენილი პირობების დაცვით, რომელიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით. დოკუმენტებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებულია ის პროცესები, რომლებიც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის გაცნობას თანამშრომლები ადასტურებენ ხელმოწერით. იგი თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს, ასევე, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებით, შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით პირად საქმეებში ყველა დოკუმენტი წესრიგში იყო და შეესაბამებოდა სკოლის მიერ დადგენილ რეგულაციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მასში გაწერილი პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის ეფექტურად მართვის მიზნით, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პრაქტიკა. მაგალითად, სკოლის თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას არსებული დანაკლისის შესავსებად, უმეტესად კი დროებით არმყოფ მასწავლებელ(ებ)ს ანაცვლებს შემცვლელი მასწავლებლ(ებ)ით. დროებით არმყოფი მასწავლებლის/მასწავლებლების შემცვლელი მასწავლებლით ჩანაცვლების შემთხვევაში, შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალსა და ტაბელში, რომლებსაც, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოებს დირექტორის მოადგილე. შინაგაწესით დარეგულირებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების განხორციელებას. კერძოდ, სკოლის დირექცია სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების, საგნობრივი კათედრებისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოწოდებული მასალების/ანგარიშების/ოქმების ანალიზის საფუძველზე აფასებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადგენს მასწავლებელთა/თანამშრომელთა ინდივიდუალურ პროფესიულ საჭიროებებს და შემდგომი ინტერვენციის მიზნით მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრავს კონკრეტული ამოცანების შესაბამის აქტივობებს.

საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდგომ პერიოდში სკოლამ შეიმუშავა მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმები, რომლითაც ასევე განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ტრანზიციის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია და მოიცავს თითოეულ ეტაპზე პასუხისმგებელ პირსა და განხორციელების ვადებს. ესეც ერთგვარი საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული მექანიზმია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 №174/ნ ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების - „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“- მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ.

კადრების შერჩევა ხდება საჯაროობის პრინციპების დაცვით: ვაკანსია ცხადდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ელექტრონულ ვებგვერდზე (https://teacherjobs.ge/). კანდიდატების შერჩევას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბოლო პერიოდში განხორციელებული კადრების შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია, რამაც დაადასტურა სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლის თანამშრომელი. კონკურსის ჩატარებამდე, სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ვებ-გვერდზე საჯაროდ აქვეყნებს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი. სკოლაში დასაქმების შემთხვევაში მასწავლებელს უფორმდება უფროსი, წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია თითოეული სტატუსის შესაბამისი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მოქმედ კანონმდებლობას, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რაც დასტურდება მასწავლებლის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტით. დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, არსებობს მატერიალური ფორმითაც და ინახება სკოლაში, თანამშრომელთა პირად საქმეებში. მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებით, შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისობა მათ მიერ დაკავებულ პოზიციასთან. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებების კვალიფიკაცია და დადებული შრომითი ხელშეკრულება, შეესაბამება კანომდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლის საერთო ღირებულებებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით სკოლაში შექმნილია ღია, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემო. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის თანამშრომლებს შორის აქტიურად მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, სკოლას აქვს კათედრის წევრ მასწავლებლებთან ყოველკვირეული მიზნობრივი სამუშაო შეხვედრების პრაქტიკა. აღნიშნულ შეხვედრებზე დასასწრებად კათედრის ყველა წევრისთვის სკოლის საგაკვეთილო ცხრილით კვირის კონკრეტულ დღეებში უზრუნველყოფილია საერთო თავისუფალი დრო. სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, შექმნილ რესურსებს, გაკვეთილის გეგმებს, სასწავლო პროექტებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ადგენენ ურთიერთდასწრების განრიგს და გაკვეთილზე დასწრების შემდგომ გასცემენ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მიმართულებების შესახებ. პერიოდულად სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობითაც იმართება შეხვედრები სხვადასხვა ჯგუფებთან, რაც ხელს უწყობს დირექციისა და სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, თანამშრომლობას, მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებასა და მაღალი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებას. შეხვედრების მიზანია ჯგუფის წევრების საერთო მოსაზრებების მოსმენა, საჭიროებების დადგენა, საგანმანათლებლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, გაანალიზება და გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. სკოლის მხრიდან წახალისებულია მასწავლებელთა ინიციატივები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა თანამშრომლობს სხვა საჯარო თუ კერძო სკოლებთან, იზიარებს მათ საუკეთესო გამოცდილებას და თავის მხრივ თვითონაც უზიარებს სკოლის საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას და სკოლაში და მის გარეთ სხვადახვა პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სასწავლო და სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ აქტივობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიდგომაა, პირველ ეტაპზე იმ იდეების, საკითხების, ქცევებისა და გარემოებების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა წახალისდეს. წახალისებულია მასწავლებლის/სკოლაში დასაქმებული პირის ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც შეესაბამება სკოლის მისიას, ღირებულებებსა და ხედვას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებისთვის მოსწავლის მომზადებაზე, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა სასკოლო და საერთაშორისო პროექტში მონაწილეობაზე. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს დაწყებითი კლასების ინიცირებით განხორციელდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებამ კათედრის წევრ მასწავლებელთა და სასკოლო თემს შორის მაღალი ხარისხის თანამშრომლობა და ჩართულობა უზრუნველყო, რაც სკოლის განვითარებისთვის მთავარი პრიორიტეტია. ასევე, მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში დირექტორთა და მასწავლებელთა 2021-2022 სასწავლო წლის შემაჯამებელ რაიონულ კონფერენციაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის მოადგილეების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით პროექტში მონაწილე მასწავლებლების მიმართ გამოყენებულ იქნა სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის, პუნქტი 1-ის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმა. აღნიშნული ტიპის ბრძანება/ბრძანებები განთავსებულია მასწავლებელთა პირად საქმეებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *თანამშრომელთა ხელშეკრულებები;*
- *გამოცხადებული კონკურსის მასალები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის და შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთი მიზანი ეხება ადამიანური რესურსების განვითარებას, რაც თავის მხრივ მოიცავს ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას. სამოქმედო გეგმაში კი დროში გაწერილია შემდგომი აქტივობები: თანამშრომელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული საჭიროებების კვლევა; თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა; ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა; მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება; საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერება-კათედრის სამუშაო გეგმების შემუშავება/განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და რეკომენდაციების შემუშავება სწავლა - სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით; ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა. ეს აქტივობები, თავისი შესრულების ინდიკატორების, ვადებისა და რესურსების მითითების შეიძლება მივიჩნიოთ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმად სხვა დოკუმენტებთან ერთად.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება და სხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელთან შეთანხმების საფუძველზე, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებასა და მასწავლებლის მიერ რეფლექსიის წარდგენის შემდეგ აძლევს განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი ფასდება ხარისხის ჯგუფთან ერთად კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვისათვის. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც აისახება მასწავლებლის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლაში არსებობს ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს მასწავლებლებისათვის კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა, რისთვისაც ჯგუფის წევრები აწარმოებენ მასწავლებელთა მუშაობის პროცესის მონიტორინგს და აძლევენ რჩევებს, რეკომენდაციებს და ყველა საჭირო განმარტებას. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და თვითშეფასების საფუძველზე მასწავლებლები ახდენენ საჭიროებების გამოვლენას, რომელსაც ასახვენ პირად სამოქმედო გეგმაში. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადახვა გზებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარედან შემოთავაზებული სერვისებით. შიდა განვითარების ფორმად სკოლა იყენებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებისა და საგნობრივი კათედრების სამუშაო შეხვედრებს. ინტერვიუს დროს დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში არის ზოგადი განათლების რეფორმის საგნობრივი ექსპერტი/ქოუჩი, რომელიც მუდმივად მზადაა კოლეგების დასახმარებლად მათი პროფესიული განვითარების გზაზე. სკოლის გარედან შეთავაზებული პროფესიული განვითარების ფორმად სკოლა იყენებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ საგნობრივ და მეთოდურ ტრენინგებს, რომლებზედაც მასწავლებლები რეგისტრირდებიან სურვილისა და საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში წახალისებულია სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ასევე წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. დაწესებულების წარმომადგენლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განცხადებით, სკოლა მოიძიებს ხოლმე ინფორმაციას სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების შესახებ და უზიარებს კოლეგებს. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობაში, რამაც საფუძველი უნდა დაუდოს მათ კარიერულ ზრდა/განვითარებას. მაგალითად, სკოლა ჩართულია USID-ის მიერ დაფინანსებულ საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელშიც გაერთიანებულია I-VI კლასების ოთხი ლიდერი მასწავლებელი, რომლებიც პროგრამის ფარგლებში გადიან ტრენინგებს და ჯგუფურ ქოუჩინგს. ლიდერი მასწავლებლები ტრენინგებზე მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში, რითაც ხელი ეწყობა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის დირექციის განცხადებით, სასკოლო საზოგადოება ეხმარება ახალ თანამშრომელს გაუადვილდეს ადაპტაციის პროცესი. საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდგომ პერიოდში სკოლამ შეიმუშავა და წარადგინა მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ტრანზიციის სამოქმედო გეგმა. მისი მიზანია ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია და მოიცავს თითოეულ ეტაპზე პასუხისმგებელ პირსა და სხვადასხვა აქტივოებების განხორციელების ვადებს. ვიზიტის დროს დირექციამ აღწერა ეს პროცესი და წარგვიდგინა შესაბამისი მტკიცებულებებიც. კერძოდ, პირველ ეტაპზე, სკოლა ახალ თანამშრომელს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და ამატებს სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში, სადაც იდება თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტი. შემდგომ ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ახალი წევრი დირექციის მეგზურობით ეცნობა სასკოლო სივრცეს, სკოლის ორგანიზაციული კულტურის მთავარ ასპექტებს და მიეწოდება მისთვის საჭირო დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, სასკოლო- სასწავლო გეგმა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია) და ინფორმაცია კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (სკოლის სოციალური ქსელის /ვებგვერდის, დახურული ჯგუფები, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შესახებ. არსებული სირთულეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრევენციის/მართვის მიზნით, ახალ თანამშრომელთან პერიოდულად მიმდინარეობს პროფესიული დიალოგი და საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირი უკუკავშირის მიღება შემდგომი რეაგირების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მენეჯმენტის მხრიდან მუდმივად წახალისებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მათი განცხადებით, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის მქონე სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა იყენებს დასაქმებულის მიმართ წახალისების სხვადასხვა ფორმას. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.

   სკოლის დირექციის მიერ მუდმივად წახალისებული და ხელშეწყობილია პროფესიული განვითარებისას მიღებული ახალი გამოცდილების სკოლაში ინიცირება და დანერგვა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების აქტივობებში. მაგალითად, დასახელდა რომ: ელექტრონული ჟურნალის წარმოების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებელთა დაბალი კომპეტენციების გამო. მასწავლებლებში აღნიშნული კომპეტენციების გაუმჯობესებისა და პროფესიული მხარდაჭერის მიზნით ისტ-ის მასწავლებლის ინიციატივით მომზადდა მათ საჭიროებებზე მორგებული ვიდეოტუტორიალები და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. აქტივობის ინიციატორმა მასწავლებელმა მხარდაჭერისთვის სკოლის დირექციისა და პერსონალისგან საჯარო აღიარება და დაფასება მოიპოვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სამუშაო შეხვედრების ოქმები;*
- *მასწავლებელთა სერტიფიკატები;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*
- *სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად. სკოლამ პროცესების მართვის უზრუნველსაყოფად შეიმუშავა დოკუმენტი: „სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". დოკუმენტში აღწერილია სწავლებასთან, სკოლის საქმიანობასთან, სკოლის კვლევასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ციკლი. სკოლის შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე - პრინციპს, რაც უზრუნველყოფს პროცესულ მიდგომას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. აღნიშნული დოკუმენტები სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს, დაკავებული პოზიციის შესაბამისად, აკისრებს სპეციფიკურ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებას როგორც მმართველობით, ასევე ძირითად და დამხმარე პროცესებში. კერძოდ, სკოლის დირექცია, თვითმმართველობა, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები უზრუნველყოფენ სკოლაში მმართველობითი პროცედურების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებული/დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეთანხმება/დამტკიცებას და სხვა. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, პროექტის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები და სპეცმასწავლებლები, უზრუნველყოფენ სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების (კურიკულუმების შემუშავება, დანერგვა, სასწავლო პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და სხვა) ხარისხიანად და შეუფერხებლად წარმართვას, ხოლო დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში არსებული სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მონიტორინგის ჯგუფები, ტექნიკური და სხვა პერსონალი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები კი უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე ზრუნვას, სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით. სკოლამ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ კიდევ შეიმუშვა „სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი“, სადაც დაკონკრეტებულია გასაჩივრების მექანიზმები და პროცესები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ მე-4 მუხლის თანახმად, მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. ამასთან, დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმა. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული რეგულაციის მიხედვით წარმოებული საქმის მასალები, როდესაც დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდა მასწავლებლის გათავისუფლება. თვითშეფასების დოკუმენტში კი აღწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევა, როდესაც არ დადასტურდა მასწავლებლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის არცერთი ფაქტი, შესაბამისად, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით მასწავლებელს არ დაეკისრა დისციპლინური სახდელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის, ასევე პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში. თვალსაჩინო ადგილას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვე საბჭო, პედაგოგიური საბჭო. თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უფლებები და მოვალეობები.

სკოლამ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ კრიტერიუმის დაკმაყოფილებისათვის დამატებით შეიმუშავა შემდეგი დოკუმენტები: „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ და „მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები“. დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *შინაგანაწესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები.*
- „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გასაჩივრების დეტალური პროცედურები“;
- „მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები“;
- „სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის წესი“. სკოლა მრავალფეროვანი აქტივობებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, სასკოლო თემი) სასკოლო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. კერძოდ, მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს სკოლის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულებას, რაც დასტურდება დასაქმებულთა ხელმოწერით, დამრიგებლები მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა, სკოლის დირექცია მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლებისა და მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს მიუწვდება ხელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, პროექტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო - საინფორმაციო კამპანია ,,ჩვენ და სკოლა", სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განიხილეს სკოლის შინაგანაწესი. ჩატარდა გამოკითხვა, რამდენად იცნობენ მოსწავლეები სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი და სხვა). გამოკითხვის შემდგომ ეტაპზე დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა სკოლის მმართველობით რგოლებთან - სკოლის თვითმმართველობა, მშობელთა კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭოს წევრები, სადაც მოხდა თემატური კაზუსების/ რეალური ისტორიების განხილვა (ბულინგის/კიბერბულინგის/ძალადობის შესახებ), რომელიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია მათ ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებასთან და მოიცავს ინფორმაციას მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

სკოლას Facebook-ზე შექმნილი აქვს გვერდი, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით. ასევე კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ „მესენჯერის" ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან სადამრიგებლო კლასის მშობლები. ასევე შექმნილია მშობლებისა და მოსწავლეების დახურული ჯგუფები, რომლებსაც იყენებენ ინფორმაციის სწრაფად მიწოდებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, სკოლაში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით და ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში მათი ინტერესი იყოს გათვალისწინებული. სკოლას ასევე აქვს ელ. ფოსტა, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მისწეროს წერილი. მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ასევე ქვეყნდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, რომლის საშუალებითაც სკოლის საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტიდან და სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებიდან დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა და მონაწილეობა. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. აღნიშნული ერთეულის უფლებებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელშიც გაწერვიანებული არიან სკოლის პედაგოგები, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაწერვიანებული არიან სკოლის მოსწავლეები. სტრუქტურული ერთეულების უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და სკოლის შიდა რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას სკოლის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ჩართული არიან სკოლის ცხოვრებაში, ისინი წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ორი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *„საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები;*
- *სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ოქმები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით ასევე განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და უკონტაქტო დათვალიერებასა და მოსწავლეთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში I-IV სართულებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია 9 ცეცხლმაქრი. სკოლას ჰყავს განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. მაგალითად, დამრიგებლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა აქტივობა ,,ხანძრის დროს სიმულაციური ევაკუაცია“, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციების დროს სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალის მზადყოფნა, კოორდინირებული რეაგირების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასა და უსაფრთხო სასკოლო გარემოზე ზრუნვა. ღონისძიების დაწყებამდე შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა სკოლაში არსებული საგანგებო შტაბის წევრებს, სკოლის სხვა თანამშრომლებსა და მოსწავლეებს საგანგებო სიტუაციების მართვისა და ქცევის წესების შესახებ თეორიული ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრის შემდეგ სკოლის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ სახანძრო-სამაშველო, საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები ავარიული ხმოვანი სიგნალებით და, წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, სკოლის შენობიდან მასწავლებლებისა და მოსწავლეების ევაკუაცია განახორციელეს, "დაშავებულები" სპეციალური საკაცითა და კალათებით უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს და პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი განვითარებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლა, საწიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112-ს და იძახებს სასწარაფო დახმარებას, რომლებიც დაშავებულს აღმოუჩენენ პირველად სამედიცინო დახმარებას.

სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა მას საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისთანავე აქვს დაწყებული მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლას აქვს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დასკვნა შესასრულებელი სამუშაოების შესახებ, ასევე, სახანძრო სიგნალიზაციისა და სისტემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეტყობინებების გეგმა პროექტი თავისი ხარჯთახრიცხვით, აქვს მიწერილობა პროექტის შეთანხმების შესახებ, რაზეც მას აქვს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოდან მიღებული პასუხი, სადაც ვკითხულობთ: „2023 წლის 15 ივნისის N1705484 და 22 ივნისის N1784244 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, თემქა, XI მ/რ III კვარტალი (ს/კ 01.12.02.025.004) საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციის, შეტყობინებისა და გახმოვანების სისტემა) პროექტები შეესაბამება სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებს.“ და ბოლოს არის მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი სკოლის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობასთან დაკავშირებით.

სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა აქვს წარმოდგენილი მიმართვის წერილი ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი, სადაც ის ითხოვს სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ დაგეგმა 2024 წლის სექტემბრის ბოლომდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს: ა)სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება; ბ) სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაგეგმილ ვადაში წარმოადგინოს აღნიშნული დასკვნები.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, სკოლა უზრუნველყოფილია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით. სკოლა გეგმავს ვიდეოთვალთვალის მექანიზმის გაუმჯობესებას, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული სკოლის ტერიტორიაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უსაფრთხოების ზომები, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო დროს. სკოლაში უცხო პირების გადაადგილების შეზღუდვისა და გაკონტროლების მიზნით, შემუშავებულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის შემასასვლელი კარი იკეტება და მას აკონტროლებს სკოლის დარაჯი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დირექციის თანხმობის შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და გარეშე პირთა გადაადგილება შესაძლებელია სპეციალური საშვების მეშვეობით, აღნიშვნით: ,,სტუმარი". სპეციალური საშვები ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დამრიგებლის დებულების შესაბამისად დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება.

ასევე, ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი, სკოლას ჰყავს 3 მანდატური, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილებისა და მოსწავლეთა მიერ აკრძალული ნივთებით გადაადგილების კონტროლს და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას, ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. დაწესებულების წარმოამდგენლების თქმით, მათი მიზანია დროულად ამოიცნონ ბავშვთა საჭიროებები და მოახდინონ მათზე ჯეროვანი რეაგირება, დროულად გამოავლინონ ძალადობის ნიშნები. სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ახორციელებს მრავალფეროვან მხარდამჭერ ღონისძიებებს, კერძოდ: სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას; ზრუნავს პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე როგორც სკოლის ბაზაზე, ისე პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებთან თანამშრომლობით; ზრუნავს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაზე მოსწავლის ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაძლებლობების გათვალისწინებით (სკოლას ჰყავს 2 სპეციალური პედაგოგი, 3 სსსმ პირის ასისტენტი და მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში); მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო რესურსებს; ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში; მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. სკოლას აქვს ბავშვთა საჭიროებების ამოცნობის, მათზე ჯეროვნად რეაგირების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მათ ხარისხიან ფსიქოლოგიურ მომსახურებას. მაგალითად, იყო შემთხვევა, რომ დამრიგებლის ინიცირებითა და მანდატურის სამსახურის ჩართულობით შედგა შეხვედრა მოსწავლის მშობელთან, შეფასდა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და მიღებული დასკვნის საფუძველზე კონსულტაცია გაეწია მშობელს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში მოსწავლის რეფერირების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, შესაბამისად: სკოლას განსაზღვრული ჰყავს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირები (სკოლის ექიმი, სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი); სკოლაში უწყვეტად არის სასმელი წყალი, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის; სკოლის სველ წერტილებში (საპირფარეშო, წყლის ნიჟარა, ბუფეტი) მუდმივად არის თხევადი საპნის, ხელის საშრობი და ტუალეტის ქაღალდის მარაგი; სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილია გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დამლაგებლებს დროულად გააქვთ ნარჩენები); საშტატო ერთეულის შესაბამისად სკოლას ჰყავს 4 დამლაგებელი, რომლებიც გადანაწილებული არიან სართულების და დერეფნების მიხედვით. დამლაგებლები საკლასო ოთახებსა და დერეფნებს სველი წესით ალაგებენ ყოველდღიურად, ხოლო საპირფარეშოებს აწერიგებენ სასწავლო პროცესის დროს ყოველი შესვენების შემდეგ და აღნიშნავენ სანიტარული დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სანიტარული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირის მიერ საპირფარეშოს მდგომარეობა მოწმდება დღეში მინიმუმ ორჯერ. საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლას ჰყავს 1(ერთი) მეეზოვე, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს სკოლის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სკოლის ტერიტორიაზე ნაგავი იყრება ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში. ყოველდღიურად გროვდება მყარი ნარჩენები ოთახებში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უსაფრთხოდ გააქვთ შენობიდან. ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად გააქვთ კონტეინერები სკოლის ტერიტორიიდანაც.

საინტერესო იყო, სკოლის საპირფარეშოების კედლების დიზანი, კედლებზე სასიამოვნო და თბილ ფერებში დახატულია ჰიგიენის წესების დაცვისკენ მიმანიშნებელი ნახატები და გამოსახულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. მნიშვნელოვანია, რომ კიბერბულინგის პრევენციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სკოლასა და თანამშრომლებს, სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირდება პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების პირობები. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას, რომ მისი (მშობლის შემთხვევაში, მოსწავლის) პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა ხელშეკრულების გაფორმებისას საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6.სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, შესაბამისად, სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები, კერძოდ, სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი, სამუშაო მიზნით გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია და მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლის მიერ შემუშავებულ „სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესში“ მითითებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოქმედი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, სკოლა იყენებს მრჩეველთა საბჭოს, სადაც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ანალიზის საფუძველზე ახდენს მყისიერ რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა განსაკუთრებით ეფექტურად იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე სკოლის მანდატურის მიერ გამოითქვა მოსაზრება სკოლის ტერიტორიაზე თანამშრომელთა/უცხო პირთა მანქანების შემოსვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მრჩეველთა საბჭოს დადგენილებით სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინა რეკომენდაცია სასკოლო დროს ეზოს ჭიშკრის დაკეტვის თაობაზე. მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე სკოლის დირექტორმა რეკომენდაციის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყო კონკრეტული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, სკოლის ეზოს უკანა მხარეს თანამშრომლებთან შეთანხმებით განისაზღვრა თავიანთი კუთვნილი მანქანების საპარკინგე ადგილი, ხოლო სკოლის ტერიტორიზე უცხო პირთა შემოსვლის კონტროლი დაევალა სკოლის დარაჯსა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;*
- *სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი;*
- *სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი მიწერილი წერილი*
- *სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დასკვნა;*
- *სახანძრო სიგნალიზაციისა და სისტემების შეტყობინების გეგმა პროექტი;*
- *სახანძრო სიგნალიზაციისა და სისტემების შეტყობინების გეგმა პროექტის ხარჯთაღრიცხვა;*
- *სამხარაულის ექსპერტიზის ერივნულ ბიუროსთან მიწერილი წერილი.*
- *შესაბამისობის გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადმოცემული აქვს 8402.00 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობა არის 4-სართულიანი, ნულოვან სართულზე განთავსებულია სარდაფი, პირველ სართულზე - დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), 3 სველი წერტილი (მათ შორის 1 ადაპტირებული), რესურსოთახი, 5 საკლასო ოთახი, არქივი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი და მანდატურების ოთახი. მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, 8 საკლასო ოთახი და 2 სველი წერტილი (აქედან 1 სველი წერტილი განკუთვნილია სკოლის თანამშრომლებისთვის), მესამე სართულზე კომპიუტერული ლაბორატორია და 8 საკლასო ოთახი, მე-4 სართულზე განთავსებულია 11 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკამებითა და სასკოლო დაფით. სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინოებები განთავსებულია გალკე გამოყოფილ სათავსოში. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები, პროექტორის ეკრანი, პრინტერი. ყველა კომპიუტერი ჩართლია ინტერნეტში. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილი, სკოლაში არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, შენობაში ასევე დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. სკოლის შენობას აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ერთი, ორი ან სამი ფანჯარა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან, საერთო რაოდენობით 37509. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის მინიმუმ თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, დამხმარე სახელმძღვანელოები. სკოლის ეზოში მდებარეობს 170კვ.მ კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. ამჟამად მიმდინარეობს სკოლის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სკოლის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და სკოლის ეზოს ასფალტ-ბეტონით მოპირკეთება და შემოღობვა. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) სწავლებისათვის საკლასო ოთახიებდან გამავალი პატარა ოთახი, სადაც ინახება თითოეული საგნის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინოებები და ხელსაწყოები, კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები, პლასტმასის ცილინდრები, კომპასი და სხვა ნივთები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ინვენტარი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის *სკოლას მიეცა რჩევა,* რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების საგნებისათვის მოეწყოს თანამედროვე ლაბორატორიები საჭირო ხელსაწყოებითა და ინვენტარით, ლაბორატორიებში საჭიროა ვენტილაციის სისტემებისა თუ ამწოვების დამონტაჟება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყენებენ ვირტუალურ საშუალებებს ცდებისათვის და არც ესგ და სახელმძღვანელოები მოითხოვს ისეთი ცდდების ჩატარებას, რასაც ამწოვი კარადები ჭირდება და მხოლოდ ამიტომ ჩამოწერეს ძველი ამწოვი კარადა. ძირითადად ატარებენ მარტივ ცდებისა და ექსპერიმენტებს, რისთვის საჭირო რესურსების გადააქვთ საჭირო დროს საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები - დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), სველი წერტილები, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული მოედანი, მანდატურების ოთახი და საკლასო ოთახები სამუშაო საათებში ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. სკოლა მუდმივად ზრუნავს შექმნას მოსწავლეებისათვის სწავლისა და განვითარებისთვის საჭირო კომფორტული და უსაფრთხო აკადემიური სივრცე. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს მკითხველთა და შემოქმედთა კლუბის ინიციატივით განხორციელდა სკოლის ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცის მოწყობა. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციის მატერიალური და ფიზიკური მხარდაჭერით განახლდა და შეიღება ბიბლიოთეკაში არსებული ინვენტარი, მშობელთა ჩართულობით მეორეული ნივთებისგან დამზადდა ახალი ავეჯი და შეიკერა ავეჯისათვის საჭირო აქსესუარები. სამკითხველო სივრცეში ასევე განთავსდა სასკოლო პროექტის ფარგლებში დონორი ორგანიზაციის მიერ საჩუქრად გადმოცემული ავეჯიც - რბილი პუფები, მაგიდა სკამებით და წიგნების თარო. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გამწვანდა სკოლის ეზო, მოეწყო სარეკრეაციო სივრცე - „ევროპის პარკი“ და ველოპარკინგი. მიმდინარე სასწავლო წელს კი გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) მიერ გამოცხადებულ საგანმანათლებლო საგრანტო კონკურსში სკოლის ეკოკლუბის მიერ მოპოვებული დაფინანსებით, ინკლუზიური გარემოს შექმნისა და პასუხისმგებლიანი წარმოებისა და მოხმარების წახალისების მიზნით მოეწყო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი „ეკოსახელოსნო“, სადაც მოსწავლეებს თანაბარი შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის აქტივობები გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები, რაც გულისხმობს როგორც ტიპური განვითარების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს ინკლუზიური სასწავლო გარემოს არსებობისთვის საჭირო ყველა სტანდარტული მოთხოვნა, გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას შექმნილი აქვს მათთვის ხელმისაწვდომი გარემო, რისთვისაც შენობაში შესასვლელ კიბეებზე მოწყობილია პანდუსი. აღნიშნული პანდუსით მოსწავლე შეძლებს სკოლის შენობაში დაუბრკოლებლად შესვლას, თუმცა სკოლის სხვა დანარჩენ სართულებზე პანდუსის არქონის გამო შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების გადაადგილება. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია კვების ობიექტი, ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი, რომელიც მთლიანად მორგებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. რესურს ოთახში განთავსებულია კომპიუტერი, Cctv აპარატი (მცირე მხედველთათვის), კარადა სათავსოებით, კედლის თაროები, სასწავლო მერხები, სკამები, მაგნიტური და ცარცის დაფები. რესურსოთახში ასევე განთავსებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები - საკითხავი ლიტერატურა, სააზროვნო-განმავითარებელი სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები, თვალაჩინოებები, ასაწყობი ფაზლები, თერმული ხალიჩა, პრინტერი და სხვადასხვა ტიპის საკანცელარიო ნივთები. სკოლას ჰყავს ეტლით მოსარგებლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები სასკოლო საზოგადოების თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, რისთვისაც სკოლაში შექმნილია შესაბამისი რესურსითა და ინვენტარით აღჭურვილი სხვადასხვა ტიპის სოციალური ზონა. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მეორეული ნივთებისგან დამზადებული ავეჯით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკაში სასკოლო კლუბებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები გეგმავენ და წარმართავენ სხვადასხვა ტიპის კულტურულ და შემეცნებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ღონისძიებას, ხვდებიან და ესაუბრებიან სხვადსხვა პროფესიის წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესების, პრობლემებისა და მიღწევების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისთვის აქვს ღია სპორტული მოედანი, სადაც პერიოდულად იმართება სასკოლო ტურნირები და ჩემპიონატები, სკოლის შენობაში განთავსებულია დახურული სპორტული დარბაზიც, სადაც ამ ეტაპზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. სკოლის შენობის ყველა სართულზე ფოიეში მოწყობილია საგამოფენო სივრცეები, სადაც ხდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და კომპლექსური დავალებების ფარგლებში შესრულებული საბოლოო პროდუქტების გამოფენა/განთავსება. სხვადასხვა ტიპის პროექტის/ღონისძიების ორგანიზებისას, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე ეწყობა დროებითი სოციო-კულტურული სივრცეებიც, მაგალითად, „საქველმოქმედო ბაზრობა“ - სივრცე გამოფენა -გაყიდვისათვის, „არქეოლოგიური ველი“ - სივრცე იმიტირებული არქეოლოგიისათვის და სხვა. სკოლაში არსებული კიდევ ერთი სოციოკულტურული სივრცეა სკოლის შემოსასვლელი ფოიე, სადაც ხდება სხვადასხვა თემაზე დაგეგმილი კვირეულების გახსნა, ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნა და თემატიკის შესაბამისი „ინსტალაციების“ განთავსება. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცეებში განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი ინფორმაცია, ვიდეო/ფოტო მასალა განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. აღნიშნული მიმართულებით სკოლას სარემონტო სამუშოების დასრულების შემდგომ დაგეგმილი აქვს სკოლის ეზოში დამატებითი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ზონების შექმნა, რომლით სარგებლობასაც შეძლებენ როგორც მოსწავლეები, ასევე სასკოლო საზოგადოებისა და თემის წევრები, კერძოდ, ეზოს ჭადრაკის მოწყობა (უკვე შეძენილი აქვთ ჭადრაკის ფიგურები) და ასფალტ-ბეტონის საფარის მოტორული უნარების გასავითარებელი სხვადასხვა ტიპის ილუსტრაციებით მოხატვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული სხვადასხვა საჭირო რესურსი, კერძოდ, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). მათი არჩევა/შერჩევა ხდება კათედრის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც ადმინისტრაცია კათედრის წევრებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესარჩევი სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებსა და შერჩევის ვადების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის, კათედრის სხდომაზე წევრების მიერ განიხილება გრიფირებული სახელმძღვანელოები და სხდომის მიმდინარეობა აღიწერება კათედრის ოქმში. კათედრის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო რესურსებს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და სკოლის საინფორმაციო მენეჯერი არჩევანს ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool). საგნობრივი კათედრის სხდომაზე, გარდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა, შეირჩევა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო რესურსები და თვალსაჩინოებებიც. სასწავლო რესურსების შეძენის საჭიროების შემთხვევაში, საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით სამსახურებრივი ბარათით მიმართავს სკოლის დირექტორს, სკოლის დირექცია განიხილავს მოთხოვნილი რესურსების მიზნობრიობას და ითვალისწინებს მას შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებისას.

სკოლა მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სასკოლო კლუბებისა და თვითმმართველობის ჩართულობით მუდმივად ზრუნავს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლებაზე. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს მკითხველთა და შემოქმედთა კლუბის მიერ შეიქმნა ბიბლიოთეკაში არსებული მხატვრული და პროფესიული ლიტერატურის ელექტრონული კატალოგი და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსების მიზნით ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები. კერძოდ, სკოლის თვითმმართველობის, მკითხველთა და შემოქმედთა კლუბისა და ეკოკლუბის ინიციატივით დაიგეგმა "ერთი წიგნის აქცია", რომელიც დაუკავშირდა მდგრადი განვითარების მე-12 მიზანს (მდგრადი მოხმარება და წარმოება) და ითვალისწინებდა მეორეული ქაღალდის გადამუშავებას. აქციის ფარგლებში წიგნის მოყვარულებს მიეცათ შესაძლებლობა, მოეტანათ ,,ერთი წიგნი“ და ამ გზით თავადაც მიეღოთ მონაწილეობა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებაში. შემოწირული წიგნებით მოსწავლეებმა საახალწლოდ ეკოლოგიური ნაძვის ხე დადგეს. ნაძვის ხის დაშლის შემდეგ ღირებულმა ლიტერატურამ სკოლის ბიბლიოთეკაში გადაინაცვლა, ხოლო მაკულატურა მოსწავლეებმა ახალ წიგნებში გადაცვალეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *შენობა-ნაგებობის სქემა;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *ციფრული განვითარების გეგმა;*
- *სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 13 კომპიუტერი, სკოლას აქვს 27 ცალი lenovo-ს ლეპტოპი, 4 ცალი პროექტორი, 3 ცალი პრინტერი, 1 ცალი ლეპტოპების შესანახი სპეციალური კარადა. WI-FI -ს როუტერები განთავსებულია ყველა სართულზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა დერეფანში, შესაბამისად სკოლის შენობა სრულად დაფარულია WI-FI სისტემით. აღნიშნული რესურსები შესაძლებელს ხდის ელექტრონული ჟურნალების დროულ შევსებას, საგაკვეთილო პროცესში ელექტონული რესურსებით სარგებლობასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის შესაბამისადაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით შეიქმნა არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების განრიგი. სკოლა იაზრებს, რომ არსებული კომპიუტერული ტექნიკა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სრულფასოვნად წარმართვისთვის აუცილებელია და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, იგეგმება თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომპიუტერული ტექნიკის განახლებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლის მიერ შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეებში ტექნიკასა და სამუშაო სივრცის მოწყობაზე პასუხისმგებელი პირი (ისტ მენეჯერი), შედგენილია მათთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეებში კომპიუტერების მორიგეობით გამოყენების განრიგი. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია შეხვედრების ოთახში, სადაც განთავსებულია სკოლაში არსებული 2 (ორი) ცალი Lenovo -ს ლეპტოპი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც განთავსებულია 15 (თხუთმეტი) ცალი Lenovo -ს ლეპტოპი, სამასწავლებლოში, სადაც განთავსებულია 1 (ერთი) ცალი პერსონალური კომპიუტერი და ერთი ცალი პრინტერი. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასწავლებლისთვის, მაგალითად, სკოლას მასწავლებლებისთვის საზიარო სამუშაო სივრცეებში საგნობრივი კათედრებისთვის განთავსებული აქვს კომპიუტერები, რომელშიც თავმოყრილია სასკოლო კურიკულუმზე მუშაობისათვის საჭირო ყველა რესურსი. შესაბამისად, ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებელი სასკოლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში იყენებს ზემოთხსენებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერულ ტექნიკას. ინტერვიუს დროს დირექციამ აღნიშნა, რომ იგეგმება სამასწავლებლოში დამატებით განთავსდეს მინიმუმ 7 (შვიდი) კომპიუტერი შესაბამისი ინვენტარით, ერთი ცალი პროექტორი და ერთი ცალი პრინტერი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ციფრული განვითარების გეგმა;*
- *ინვენტარიზაციის მასალები.*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, ახორციელებს ოფიციალურ მიმოწერას. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, სკოლის დირექციასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წარმოებს მათი რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით, იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციაც (მაგ: საავადმყოფო ფურცელი). სკოლას შექმნილი აქვს არქივის ციფრული კატალოგი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, ასევე შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციისთვის იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow-ს. ოფიციალურ მიმოწერას ახორციელებს Outlook-ის ელექტრონული ფოსტის ანგარიშით (Tbilisi.mes.gov.ge), ხოლო სასკოლო საზოგადოებისა და თემის გამოკითხვის მიზნით იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საქმიანობის ფარგლებში სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი პლატფორმით (Eschool), რომლის მართვასა და წვდომაზე პასუხისმგებელი პირი/პირები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საკუთარი პროფილი, სადაც განთავსებულია სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისი გაკვეთილების განრიგი, ინფორმაცია მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ. სისტემაში ასახულია პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების პირადი მონაცემები, კერძოდ, მათი პირადი ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების განახლება ხდება პერიოდულად, მაგალითად, ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო წლის დაწყებამდე იცვლება გაკვეთილების განრიგი სასკოლო საათობრივი შესაბამისად. სასწავლო წლის დაწყებისას და საჭიროებისამებრ, ასევე, განახლდება მოსწავლეების/მშობლებისა და თანამშრომლების ტელეფონის ნომრები, საცხოვრებელი მისამართები და სხვა ინფორმაცია. სკოლის თანამშრომლებს მათთვის საინფორმაციო სისტემაში გააქტიურებიული აქვთ საკუთარი პროფილი, რომელშიც აწარმოებენ საკუთარი პროფესიული განვითარების პორტფოლიოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების მიმართულებით სკოლა საქმიანობას წარმართავს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაცია ხდება eflow-ს და სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საქმისწარმოების წესი;*
- *eflow,*
- *eschool,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს მრავალფეროვან საშუალებებს. სკოლას სოციალურ ქსელში აქვს გვერდი (სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა | Tbilisi | Facebook), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის სოციალურ გვერდზე პერიოდულად/უწყვეტ რეჟიმში განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით - მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების, პროექტების, ღონისძიებების, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილების ამსახველი ფოტომასალა და სხვ. საჯარო დოკუმენტების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში ასევე განთავსებულია საინფორმაციო დაფა. სკოლას სასკოლო საზოოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქვს მრავალარხოვანი საკომუნიკაციო სივრცე, კერძოდ: მშობელთა კრება; Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმები; ელექტრონული ჟურნალები; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფოსტა და ტელეფონი; სოციალური ქსელი; Eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სასტემა. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული ვებ-გვერდი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა საკუთარი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ახდენს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებით. სკოლის მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია არის გადამოწმებული და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. მაგალითად, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია პირველ ეტაპზე მუშავდება კონკრეტული აქტივობის განმახორციელებელი პირის/პირების მიერ, ხოლო შემდგომ ეტაპზე სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას და საბოლოო სახით სკოლის საინფორმაციო მენეჯერისთვის მიწოდებას. საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს ინფორმაციის საბოლოო სახით სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასკოლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივი აზრის შესატყობად იყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, მაგალითად, სკოლის მეილი, სატელეფონო შეტყობინება, სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაცია. სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, ხდება სათანადო რეაგირება ზეპირი ან წერილობითი სახით. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მხედველობაში მიიღება დაწესებულების საქმიანობის შეფასება/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვის დროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული ვებ-გვერდი, მასზე ქართულადაა განთავსებული ინფორმაცია. სკოლა გეგმავს, მასზე ინფორმაციის ეტაპობრივად სრულყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე ამ ეტაპზე გააქტიურებულია შემდეგი ველები: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, პროგრამები/ მხარდამჭერი სერვისები, ქცევის წესები და გასაჩივრების/ აპელაციის მექანიზმები; ინფრასტრუქტურა; საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის Facebook გვერდი - *https://www.facebook.com/149publicscool/*.,
- სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტა - Tbilisi149@mes.gov.ge
- ვებგვერდი: სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის დირექტორის წარდგინებით. ბიუჯეტი დაგეგმილია რეალური გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის შემუშავების პროცესი მოიცავს რამდენიმე ძირითად საფეხურს: ბიუჯეტის პროექტის მომზადება, სამეურვეო საბჭოს მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე სკოლის ბიუჯეტირებაში ჩართული პირების მიერ ხდება სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისადს თანხების გადანაწილება (შემოსავალი, გასავალი) და გადაწყვეტილების მიღება (ინფორმაციას ბიუჯეტზე მომუშავე ჯგუფს აწვდის სკოლის ბუღალტერი და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული შესყიდვებით. წლის განმავლობაში სავარაუდო მისაღები შემოსავალი და მოსალოდნელი ხარჯი აისახება საპროგნოზო ბიუჯეტში, ხოლო სკოლის დირექტორის მიერ თანხების განკარგვა შემდგომში მიმდინარეობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა შესაძლებლობის ფარგლებში მიემართება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ფინასური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის მიზნით სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით მუშავდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებამდე, საჭიროების დადგენის მიზნით რეალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიიღება თანამშრომლებისგან მოხსნებითი ბარათით, Eflow-ის დოკუმენტბრუნვის საშუალებით. სკოლის დირექცია ახდენს ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზს და სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის დადგენას, რის შემდგომაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს შესყიდვების სახელმწიფო გეგმას. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ჩართული არიან სკოლის შესაბამისი თანამშრომლები (სკოლის დირექტორი, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, დირექტორის მოადგილე და სკოლის სტრუქტურული ერთეულების სხვა თანამშრომლები). საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეაქვს ცვლილება შესყიდვების წლიურ გეგმაში. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, აღნიშნული ანგარიშისა და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად იგეგმება შემდგომი აქტივობები ბიუჯეტის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. სკოლის დირექტორი ყოველი წლის დეკემბერში, 10 რიცხვამდე სამეურვეო საბჭოს, ასევე წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვისა ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშებს. სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად და ფინანსური პრობლემებისა და შესაძლებლობების დასადგენად, სკოლა 2023 წლის სექტემბრიდან გეგმავს შექმნას სკოლის ფინანსური ანალიზის ფორმა. აღნიშნული დოკუმენტის გამოყენებით, სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შესაძლებლობა ექნებათ, გამოავლინონ პრობლემური სფეროები, დასახონ მიზნები და გამოსასწორებელი ღონისძიებებისათვის განსაზღვრონ პასუხისმგებელი პირები და ვადები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *10 დეკემბრის ანგარიში;*
- *ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაცია;*
- *სკოლის ბიუჯეტი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შემუშვებულია სხვადასხვა რეგულაცია (შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები), რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. საავტორიზაციო განაცხადის წარდგენიდან ავტორიზაციის ვიზიტამდე სკოლამ ასევე შეიმუშვა: სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გასაჩივრების დეტალური პროცედურები, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი. ერთ სიტყვით, სკოლაში შექმნილია ყველა ის დოკუმენტი, რაც კი მოსწავლის კანონით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფისთვის შეიძლება განვიხილოთ. ასევე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულია მანდატურის სამსახურიც, მათ შორის, სკოლაში არის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში მოსწავლეთა რეფერირების პრაქტიკაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) ასევე ეგზავნებათ კლასის დამრიგებლების მიერ ელექტრონულ ფოსტაზე/ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.

აღნიშნული დოკუმენტები გამოკრულია საჯაროდ და ხელმისწავდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, შესაბამისად სკოლაში დასაქმებული პირები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ფლობენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. გააზრებული აქვთ სკოლაში ქცევის წესები და ინფორმირებულნი არიან დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

საინტერესო აქტივობაც მიეძღვნა ამ საკითხის განხილვას. კერძოდ, სკოლაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა გამოკითხვა, რამდენად იცნობენ მოსწავლეები მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი და სხვა); გამოკითხვის შემდგომ ეტაპზე, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განხორციელდა საგანმანათლებლო - საინფორმაციო კამპანია ,,ჩვენ და სკოლა“, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განიხილეს სკოლის შინაგანაწესი. დაიგეგმა გაერთიანებული სამუშაო შეხვედრა სკოლის თვითთმართველობასთან, მშობელთა კომიტეტის წევრებთან, დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს წევრებთან, სადაც მოხდა თემატური კაზუსების/ რეალური ისტორიების განხილვა (ბულინგის/კიბერბულინგის/ძალადობის შესახებ), რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მათ ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებას და მოიცავს ინფორმაციას მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; სკოლას დაგეგმილი აქვს, რომ სკოლის ვებ-გვერდის საალებითაც გააზიაროს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლში ყოველ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია კანონმდებლობასა და სკოლაში არსებულ რეგულაციებთან. შემთხვევითი შერჩევით ადგილზეც ვნახეთ მშობელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაში იყო სკოლის სხვა დოკუმენტებთან. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ანალოგიური ტიპის ხელშეკრულება.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის წესი,*
- *მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გასაჩივრების დეტალური პროცედურები,*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები,*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი,*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მშობელთან დადებული ხელშეკრულება;*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების მექანიზმები, რითაც დასტურდება რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად -„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით. სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი ეტაპის დაცვით და რეგისტრაციის ვადებსა და პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი.

   მობილობით მოსწავლე ჩაირიცხება მშობლის განცხადებისა და ელექტრონული დასტურის საფუძველზე. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა. არსებული კანონმდებლობის შესაბისად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო, წლიური და ექსტერნატის გამოცდების ჩატარების პროცედურები. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შედეგად მოსწავლის ჩარიცხვას, მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლა ამზადებს დასკვნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თავსებადობის შესახებ და აწვდის მშობელს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად. მიღებული აღიარების დოკუმენტის თანახმად და მშობლის განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა, ხოლო განსხვავებული საგნების დასაძლევად მოსწავლე აბარებს ექსტერნის გამოცდებს. სტატუსის შეჩერება ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე. სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია მოსწავლის მიერ საფეხურისა და კლასის დაძლევის პირობები. მოსწავლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პედაგოგიური საბჭო, რაც ფორმდება კოლეგიალური ორგანოს სხდომის ოქმით. პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საქმისმწარმოებლის მიერ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად. სპეციალური საჭიროების დადასტურების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვას. ვიზიტისას, შერჩევითი შემთხვევით გადამოწმდა დოკუმენტაცია, რითაც დადასტურდა რომ სკოლა იცავს დადგენილ რეგულაციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ სხვადასხვა დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. თითოეული საგანმანათლებლო მომსახურების სასწავლო პროგრამა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამასთანავე მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს თემატური კლუბები. მაგ. ეკო კლუბი, მეწარმეობის კლუბი.

სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს ღია კარის დღეს, სადაც პირველ კლასში შემსვლელი მოსწავლეების მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ. სკოლას აქვს საგანანმანათლებლო მომსახურეობის და მასთან დაკავშირებული სერვისების მკაფიო და გამჭვირვალე სისტემა, კერძოდ, სკოლას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი, სადაც პერიოდულად განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ავრცელებს სხვადასხვა საინფორმაციო გზით: სტენდებზე ინფორმაციის განთავსება, სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის გვერდზე, მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილ დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებებიდან გამომდინარე, მშობლის მომართვიანობის საფუძველზე. შეთავაზებულ მომსახურებაზე გაფორმებულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, სადაც გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების მექანიზმები;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *სოციალური გვერდი.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანზიციის მექანიზმების დოკუმენტი. ამით რეგულირდება ბაღიდან სკოლაში/ სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესები, მასთან დაკავშირებული რეგულაციები და ტრანზიციის პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ბავშვსა და ოჯახს თავი კომფორტულად იგრძნოს ახალ გარემოში. სკოლის ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ინკლუზიურობის პრინციპს ეფუძნება და ყველა ბავშვისა და ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს ეხმიანება. ზემოაღნიშნული პროცედურების გათვალისწინებით, სკოლაში მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლის, პირველ კლასში ჩარიცხვისა და მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლის დროს სკოლა გეგმავს საორიენტაციო ვიზიტებს და მოსწავლესა და მშობელს აცნობს მომავალ მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ინფორმაციას მისი მიღწევებისა და თავისებურების შესახებ, გეგმავს შეხვედრებს მომავალ თანაკლასელებსა და მშობლებთან და აცნობს მათ სკოლის ფიზიკურ გარემოს. აღნიშნული აქტივობის მიზანია მოსწავლისათვის სკოლაში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა და მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაციის მიწოდება, მათი მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის.

სოციალურ ქსელში მუდმივად ზიარდება ინფორმაცია სკოლაში არსებული სხვა დამატებითი სერვისებისა და მომსახურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომია ყველა მშობლისა და დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს სკოლის დაწყების მხარდამჭერი პროგრამის განხორციელების პრაქტიკა, რაც გულისხმობს სკოლის მიერ მომავალ პირველკლასელებსა და მათ ოჯახებთან ადრეულ კომუნიკაციას, მაგალითად, ოფიციალური რეგისტრაციის გავლის შემდეგ ყველა მომავალ მოსწავლეს/მშობელს ეგზავნება მისასალმებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ღია ბარათი იმის ნიშნად, რომ სკოლაში ელიან, მომავალი პირველკლასელების უკეთ გასაცნობად კლასის დამრიგებლები შეიმუშავებენ ბავშვის გასაცნობ ფორმას, რომელსაც ავსებენ მოსწავლის მშობლები. აღნიშნული ინფორმაცია სკოლას შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს, თუ რომელი ბავშვი რა გამოწვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ახალ გარემოში გადმოსვლისას და ვისთვის რა ტიპის დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენა შეიძლება გახდეს აუცილებელი. ასევე, სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლის მშობელს მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ. დამრიგებელი არის ძირითადი დასაყრდენო მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტირებისთვის. სკოლის Facebook გვერდზე მრავალად ვხვდებით სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადვილად ადაპტირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერი მექანიზმები. კერძოდ, რემედიაციის მექანიზმი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გულისხმობს იმ მოსწავლეთა დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ აკადემიურ უნარებს, შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებულია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორებიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება და სხვ. მიდგომა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გულისხმობს სწავლების მრავალფეროვანი ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებას. სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს არ უწევთ საფეხურით გათვალისწინებული საკლასო გაკვეთილების გაცდენა, არამედ მათ უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან შემდეგ. პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რემედიატორ მასწავლებელთან ერთად, ერთვება კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია. პროგრამის განხორციელება მოიცავს მოსწავლეთა სკრინინგსა და შედეგების ანალიზს, სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირებასა და შედეგების ანალიზს, სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტებას, სარემედიაციო პროგრამისა და გაკვეთილის გეგმების შედგენას, სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარებას, პროგრესის მონიტორინგს, შუალედური შეფასებასა და შემაჯამებელ შეფასებას. რემედიაციის პროგრამასთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა მიეთითა, რომ პროგრამა ითვალისწინებდეს არა მარტო დაწყებით საფეხურს, არამედ საბაზო და საშალო საფეხურებსაც. როგროც ჩანს, სკოლამ დოკუმენტი შეიმუშავა ჯიპრაიდის პროექტის ფარგლებში შემუშვებული ნიმუში მიხედვით, რომელიც დაწყებითი კლასების სარემედიაციო ჩარევებს გულისხმობდა. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დანიშული ნებისმიერი ტიპის გამოცდის (საშემოდგომო, ექსტერნის, სემესტრული, წლიური) შემთხვევაში გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა, გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. გარდა ზემოაღნიშნულისა, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დროულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს. უკუკავშირში აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე. სწორედ ამ პრაქტიკაზე დაფუძნებით ეთხოვა სკოლას გაწეროს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კონსულტირებისა და მხარდაჭერის მექანიზმები სკოლის ყველა საფეხურისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია და გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ კლასის დამრიგებლები და, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, სპეციალური მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ მოსწავლეთა დამატებითი მუშაობა. განრიგი გამოკრულია თვალსაჩინოდ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული განრიგი ხელმისაწვდომია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, საგნის მასწავლებელებისა და დამრიგებლებისთვისაც. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე გაწერილია შინ სწავლების მექანიზმები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც სსსმ ასევე ტიპური განვითარების იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლის მხრიდან მუდმივად ხდება არაფორმალური განათლების მხარდამჭერა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. ეს პროცესის შემდეგნაირად მიმდინარეობს: მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სასკოლო კლუბების წარმომადგენლები მოხსნებითი ბარათით მიმართავენ სკოლის დირექტორს არაფორმალური განათლების მიმართულებით ინიციატივების მხარდაჭერისთვის, რაც ხშირად გულისხმობს როგორც კვალიფიკაციის მქონე პერსონალით მხარდაჭერას, ასევე აქტივობებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას. შემოსული მოხსენებითი ბარათები რეგისტრირდება Eflow-ის დოკუმენტბრუნვის სისტემაში და დირექციის მხრიდან მიმდინარეობს მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-ანალიზი და შემდგომში სათანადო რეაგირება. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისათვის საჭირო რესურსების შეძენის მიზნით. მოსწავლეთა მხრიდან აღნიშნული პრინციპით არაერთი ინიციატივა მიუღია სკოლას, მაგალითად, სკოლის მკითხველთა და შემოქმედთა კლუბმა სამკითხველო სივრცის რეაბილიტაცია - რეორგანიზაციის მიზნით, დირექციასთან შუამდგომლობისთვის განცხადებით მიმართა კლუბის ხელმძღვანელს. განცხადება გულისხმობდა ბიბლიოთეკაში არსებული ინვენტარის განახლებისთვის საჭირო რესურსების (საღებავები, ფუნჯები და სხვ.) მოთხოვნას. სკოლის დირექციამ განიხილა მოსწავლეთა ინიციატივა და უზრუნველყო კლუბი საჭირო რესურსებით. შედეგად, მკითხველთა და შემოქმედთა კლუბის მიერ განახლდა არსებული, ხოლო მეორეული ნივთებისაგან დამზადდა სამკითხველო სივრცის მოწყობისათვის საჭირო ინვენტარი, მომზადდა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის კატალოგი და ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსების მიზნით. კერძოდ, ამავე კლუბმა, კლუბის ხელმძღვანელისა და დირექტორის შუამდგომლობით განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს სკოლის წიგნადი ფონდის შევსება-განახლების მიზნით. შედეგად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სკოლას გადასცა სხვადასხვა ავტორის კლასიკური და მხატვრული ლიტერატურის სამასამდე ნიმუში.

მოსწავლეთა ინიციატივითა და დირექციის მხარდაჭერით სკოლაში დედამიწის დღესთან დაკავშირებით ,, მწვანე კვირეული" გაიმართა, რომლის ფარგლებში კვირეულის ბოლოს სკოლის ეზოში ველოსიპედების საპარკინგე ადგილი მოეწყო. ველოსიპედების პარკინგისათვის განკუთვნილი მილ-კვადრატების მარტივი კონსტრუქცია მოსწავლეებმა უფროსებთან ერთად სკოლაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეორეული მასალებისგან ააწყვეს და ველო-მარათონიც გამართეს. კვირეულის ფარგლებში ველო-მარათონის აქტივისტებმა თანატოლებს მოუწოდეს გადაადგილებისათვის გამოიყენონ ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტი - ველოსიპედი და თავიანთი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა მხრიდან უკუკავშირის მიღებას - ტარდება გამოკითხვები, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების დიაგნოსტირებასა და უკუკავშირების მიღებას. მაგალითად, სასკოლო პროექტის ,,ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია“ ფარგლებში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ორგანიზებით განხორციელდა აქტივობა ,,უსაფრთხო სკოლა“. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში სკოლაში უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, ჩატარდა სასკოლო საზოგადოების (მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე) გამოკითხვა. შემდეგ ეტაპზე გაიმართა დისკუსია თემაზე: ,,რამდენად არის სკოლის გარემო უსაფრთხო?!“ მოსწავლეებმა იმსჯელეს ,,უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის მნიშვნელობაზე, პრობლემის შემთხვევაში, მათ გამომწვევ მიზეზებსა და მათი მოგვარების გზებზე. გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული საფრთხის შემცველი ადგილების რაოდენობიდან გამომდინარე (სკოლის შემოსასვლელი კიბე, სკოლის ღობე, სანიაღვრე სისტემა და სპორტული დარბაზი) განხორციელდა პრიორიტეტების განსაზღვრა მნიშვნელოვნების გათვალისწინებით და გამოიკვეთა შემოსასვლელი კიბის დაუყოვნებლივ რეაბილიტაციის საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კიბე მდებარეობდა მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე, მოსწავლეებმა შეიმუშავეს კოლექტიური წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის სახელზე (წერილის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე მოსწავლეებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრა, სადაც გაეცნენ ოფიციალური წერილის წერის ინსტრუქციას) და გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიზნით შეხვდნენ რაიონის გამგებელს. შედეგად, რაიონის გამგეობის მიერ რეაბილიტირდა სკოლის შემოსასვლელი კიბე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეები საკუთარი ინიციატივით ჩაერთნენ ალტე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტში ,,ციფრული განათლება სკოლაში". პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა მიზანი იყო გამოეკვლიათ რა პრობლემები დგას სასკოლო თემში ციფრული მოქალაქეობის მიმართულებით და რა გზით შეიძლება მათი გადაწყვეტა. პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, Google Forms-ის გამოყენებით, ადმინისტრაციის მხარდაჭერით შეიქმნა კითხვარი და გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება. კითხვარი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ონლაინ კონფიდენციალურობა, კიბერბულინგი, მედიაწიგნიერება და დეზინფორმაცია, ციფრული ეტიკეტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების 200-მდე წევრმა. კითხვარის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ, მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, დეზინფორმაცია არის ყველაზე გავრცელებული და რთული პრობლემა ჩვენ ირგვლივ, რაც შემდგომში სადამრიგებლო პროგრამაში ,,ციფრული მოქალაქეობის" მიმართულებად დაემატა.

ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს პროექტის მართვის ჯგუფი, რომლიც გეგმავს და ფასილიტაციას უწევს პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესებს. აღნიშნული ჯგუფის ჩართულობით შემუშავდა კითხვარი, რომელიც იკვლევდა მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს სასკოლო პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით. გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა უკუკავშირების საფუძველზე შეირჩა თემა და გაიწერა სასკოლო პროექტი. კერძოდ, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი ,,ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია", ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს - პროექტი ,,კულტურული მემკვიდრეობა" .

პროექტების განხორციელების შემდეგ მიმდინარეობს პროექტის მონაწილეთა/ ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროექტის განვითარება და გაუმჯობესება. .

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *პირველკლასელთა მშობლებთან შეხვედრის („ღია კარის დღე“) პრეზენტაცია ;*
- *მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები -„უსაფრთხო სკოლა“*
- *მოსწავლეთა ინიციატივების ამსახველი მასალები (კლუბების მოხსენებითი ბარათები);*
- *სასკოლო პროექტი - „ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია“.*
- *სკოლის სოციალური გვერდი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი.*
- *სადამრიგებლო პროგრამები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ხელმისაწვდომია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. კერძოდ, პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საბაზო-საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულება. შესაბამისად ტარდება საკონსულტაციო კლასის საათები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელშეწყობა. სხვადასხვა პროფესიის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით სადამრიგებლო პროგრამის/სასკოლო პროექტების ფარგლებში კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ ხორციელდება მრავალფეროვანი თემატური აქტივობები (იმიტირებული სასამართლო, იმიტირებული რეპორტაჟები, ბიბლიოთეკის კატალოგიზაცია, იმიტირებული აუქციონი და სხვ.), იგეგმება მიზნობრივი ექსკურსიები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში, იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. ინტერვიუს დროს სკოლის დირექციამ აღნიშნა რომ სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,პროფესიული განათლება - ჩემი მომავლის გზა". პროექტის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი აქტივობები, ვიზიტები დასაქმების ადგილებსა და პროფესიულ კოლეჯებში (სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,მერმისი", საწარმო ,,ჰობი ჯორჯია", საწარმო ,,ბარამბო"). სსიპ პროფესიულ კოლეჯ ,,მერმისთან" თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული კურსი, მოსწავლეებმა იმუშავეს ექსკლუზიური მოდელების შექმნაზე და ,,ეკომეგობრული" ფერის ქსოვილისგან სკოლის ტექნიკური პერსონალისთვის სპეციალური ტანსაცმელი და ,,ეკომეგობრული" ჩანთები შეკერეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. კარიერული განვითარების შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში და გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის. საინფორმაციო შეხვედრებზე სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას საბაზო თუ საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ როგორ, რა გზით, რა მიმართულებით შეიძლება კარიერული განვითარება, რაც გულისხმობს მათთვის პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის გაცნობას. IX კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებაზე აწვდიან ინფორმაციას პროფესიულ კოლეჯებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობისა და ინტეგრირებული პროგრამების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ონლაინ ღია კარის დღეების შესახებ, გეგმავს ვიზიტებს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეებისათვის როგორც პროფორიენტაციის, ასვე სხვადახვა მიმართულებით საგნის კონტექსში. სკოლის გვერდზე ზიარდება ინფორმაცია პროფესიული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებისა და პირობების შესახებ. 2022-2023 სასწავლო წელს მე-10 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა სასკოლო კონფერენცია თემაზე ,,მდგრადი განვითარების მიზნები ჩვენს გაკვეთილზე". აღნიშნულ კონფერენციაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემები მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზანზე, მათ შორის ხარისხიან განათლებაზე. 76 საკონფერენციო თემების მომზადების პროცესში მონაწილე მოსწავლეებმა მიზნობრივი ჯგუფებისთვის (მოსწავლეები, მასწავლებლები) სპეციალური კითხვარები შექმნეს, რომელიც თვითმმართველობის წევრების ჩართულობით ელექტრონულად გაზიარდა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებში (მასწავლებლებს აღნიშნული კითხვარი მიეწოდათ სკოლის დირექციის მიერ). მოსწავლეთა მიერ დამუშავებული კითხვარები ითვალისწინებდა მდგრადი განვითარების მიზნების, მათ შორის ხარისხიანი განათლების შესახებ მოსწავლეთა მოსაზრებების კვლევას, მათი საჭიროებებისა და ინტერესების მოძიებას. მაგალითად, კითხვარი გულისხმობდა პასუხის გაცემას ისეთ კითხვებზე, როგორიცაა - რა განაპირობებს სასკოლო საგნით დაინტერესებას? რა განაპირობებს ხარისხიანი განათლების მიღებას? გეხმარებათ თუ არა სკოლა მომავალი პროფესიის არჩევაში? არჩეული გაქვთ თუ არა თქვენი მომავალი პროფესია? ფლობთ თუ არა ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შესახებ და სხვა. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა ასევე ჩაერთო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების მიერ დაგეგმილ პროექტში, რომლის მიზანი იყო მომავალ თაობაში იურიდიული განათლების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის. მოსწავლეები პროექტის გახსნით და შემაჯამებელ ღონისძიებაზე უნივერსიტეტში პროექტის განმახორციელებლებს შეხვდნენ. მოსწავლეები ასევე დაესწრნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის ქეთევან კუპატაძის სამეცნიერო-პოპულარულ ლექციას „ყველაფერი შაქრის შესახებ" ექსპერიმენტებით . ლექციაზე მოსწავლეები გაეცნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შაქრის თვისებებსა და მის ავკარგიანობას, ასევე ჩაერთვნენ საინტერესო ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში შაქრის გამოყენებით. აქტივობის მიზანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია და მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გაზრდის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას დაგეგმილი აქვს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა განავითაროს კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულება სკოლაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის სოციალური გვერდი*
- *პროექტი - ,,პროფესიული განათლება - ჩემი მომავლის გზა";*
- *საკონსულტაციო კლასის საათის (პროფ. ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა) საპრეზენტაციო მასალა;*
- *დამრიგებლის სამოქმედო გეგმა;*
- *მოსწავლეთა კითხვარები ,,ხარისხიანი განათლება" ; ,,ციფრული მოქალაქეობა"*
- *სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,მერმისთან" გაფორმებული მემორანდუმი; • გრძანება სასკოლო ექსკურსიის (ბარამბო) ნებართვაზე; • მოსწავლეთა კითხვარი არჩევით საგანზე;*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირისათვის საგანამანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ და შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებასა და აუცილებელ რესურსებს.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის" 33-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და წერს დასკვნას.

   სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურად არის ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში. კერძოდ, მონაწილეობს ისგ-ის შედგენაში (ესწრება ისგ ჯგუფის შეხვედრას/აფიქსირებს აზრს და ა.შ.), აქვს მუდმივი კომუნიკაცია სკოლასთან, ყოველთვიურად იღებს სკოლიდან უკუკავშირს თავისი შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ, მუდმივად მონაწილეობს ინკლუზიური განათლების შესახებ ღონისძიებებში. სსსმ მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა საშუალებას - ინდივიდუალური შეხვედრები, სატელეფონო ზარი, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელი და სხვა. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი, თითოეული მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული შესაბამისი სპეციალისტები, კერძოდ 2 სპეციალური პედაგოგი, 3 სსსმ პირის ასისტენტი და 1 მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიმართულ პროაქტიულ აქტივობებს. ვიზიტის დროს ჩატარდა სპეციალური მასწავლებლებთან ინტერვიუ, ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა გამოამჟღავნეს არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, ასევე აღწერეს მრავალფეროვანი აქტივობები რასაც ისინი გეგმავენ და ახორციელებენ. ისე ემოციურად საუბრობდნენ თითოეულ მოსწავლეზე, რომ ფაქტია სკოლის მიდგომა სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერის მიმართულებით გამართულად მუშაობს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. თითოეული მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად. სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმით რეგულირდება მოსწავლეთა, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა მექანიზმი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების შესახებ. ინკლუზიური განათლების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კითხვარები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვლილია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის (დირექტორი, მშობლები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა პირები) და ემსახურება სკოლაში მიმდინარე პროცესების კვლევას აღნიშნული მიმართულებით. განსხვავებულობის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღის აღსანიშნავად სკოლაში ინტერაქციული და ინტელექტუალურ-გასართობი აქტივობა „ააწყვე ფაზლი" განხორციელდა. ამავე დღის აღსანიშნავად სსსმ მოსწავლეთა ჩართულობით თემატური კედლის გაზეთები, პოსტერები და გულსაბნევები დამზადდა. აღნიშნული კედლის გაზეთები გამოიფინა სკოლის ფოიეში, ხოლო თემატური გულსაბნევები დარიგდა სასკოლო საზოგადოების წევრებში. სსსმ მოსწავლეები მონაწილეობენ არაფორმალურ აქტივობებში/პროეტებში, მაგალითად, საგანმანათლებლო საგრანტო კონკურსის ფარგლებში სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ინკლუზიური სამუშაო სივრცე - ,,ეკომეგობრული სახელოსნო", სადაც თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შემოქმედებითი იდეების აქტიურ რეჟიმში განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა, მათ შორის სსსმ მოსწავლეებსაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;*
- *დირექტორის ბრძანებები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება; შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება;*
- *ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის პროგრამა;*
- *სსსმ პირისათვის საგანამანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვდასხვა არასავალდებულო ხასიათის სერვისს. კერძოდ, გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, შემოქმედებითი და სპორტული წრეები. აღნიშნული სერვისები ფუნქციონირებს მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანარჩენ მარეგულირებელთან. ნებისმიერი მსგავსი ტიპის შემთხვევაში მომსახურებაზე გაფორმებულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მომსახურების შინაარსი და ვალდებულებები. სკოლაში იფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფი I-VI კლასებში. გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობელსა და მასწავლებელს შორის ორმხრივი ხელშეკრულების დადებით. მომსახურეობის საფასურის გადახდა ხდება საბანკო ანგარიშსწორებით. კლასის დამრიგებლების მიერ სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვა-განხორციელება მიმდინარეობს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის N719 ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მშობლის მომართვიანობის საფუძველზე. შეთავაზებულ მომსახურებაზე გაფორმებულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულება, სადაც გარკვევით ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი და არადისკრიმინაციული. სკოლა გეგმავს ჩაატაროს სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა კონკრეტული სერვისების საჭიროებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზნით შეიქმნება სპეციალური ჯგუფი მასწავლებლებისა და მოსწავლეების შემადგენლობით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კითხვარის შექმნისა და უკვე შევსებული კითხვარის დამუშავების პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი სერვისები, აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *არასავალდებულო ხასიათის მომსახურების მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მუსიკალური სტუდია,) ხელშეკრულება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *მშობლის განცხადება გახანგრძლივებულ წრეში ჩარიცხვასთან დაკავშირებით;*
- *სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფართის იჯარის გაცემაზე;*
- *ფართის იჯარით გაცემის დოკუმენტაცია;*
- *სასკოლო ექსკურსიების მიმართვის ფორმა და ბრძანება სასკოლო ექსკურსიის განხორციელებაზე*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და აღწერს : კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებს / პოზიციებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება არის მუდმივმოქმედი პროცესი, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. დოკუმენტში მოცემულია ცხრილი, რომელიც აჩვენებს მიმართებებს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის: მასწავლებლის, კათედრის თავჯდომარის, სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეების და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნა სასკოლო კურიკულუმი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას ითანამშრომლეს სხვადასხვა კათედრის წევრებთან და გაითვალისწინეს მათი გამოცდილება, ასევე მოსწავლეების ინტერესები და მშობლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამატებით საგანმანათლებლო სერვისებზე (კლუბები, წრეები და სხვა), რომლებსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოხდება დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელება და იმ ეფექტების აღწერა, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლის დირექციის წევრებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. კათედრებზე ხდებოდა მასწვალებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები (მაგ. „ჩემი და შენი უფლებები“, „სასკოლო არქეოლოგია“). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის თვითრეფლექსიას. სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას გაუზიარებს მოსწავლეების მშობლებს და დაადგენს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას ფასიანი წრეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახით (ცეკვა, სიმღერა, ფეხბურთი). სკოლაში ასევე იფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-VI კლასებში (8:30 საათიდან 17:30 საათამადე), ინგლისური ენის კლუბი, ეკოკლუბი. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახოს სასკოლო კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის დოკუმენტაციების და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან და სკოლის დირექციის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. კათედრებზე ხდებოდა მასწავლებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა და ასევე თანამშრომლობა სხვადასხვა კათედრის წევრებთან და მათი გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი არსებული ცოდნაც. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეები, მშობლები) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული ჰყავდეს მშობლები. სკოლას გააზრებული აქვს რომ ეს ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მნიშვნელოვანია კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია იყოს გაზიარებული და შეთანხმებული. ზოგადად აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ ქსელს და საერთო/ინდივიდუალურ პირდაპირ შეხვედრებს. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს - საერთო/ინდივიდუალური პირდაპირ შეხვედრებს, ინტერაქტიულ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ეს დოკუმენტი უკვე გაზიარებულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გაუზიარდებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის სტანდარტებში მოცემული სავალდებულო თემები, თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. კომპლექსური დავალების ბარათებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, უნდა განხორციელდეს სამიზნე ცნებების (სხეული) გააზრებაზე დაფუძნებული კონტექსტ-მაგალითი, რომელიც საქართველოს სასარგებლო წიაღისეული ფიზიკური თვისებების შესწავლას ემსახურება. უცხო ენა- კომპლექსური დავალებების იდეები-ნახატის პრეზენტაცია ოჯახის შესახებ ,ილუსტრირებული ტექსტის შექმნა საყვარელი კერძის/საჭმლის შესახებ, ჩემი ქალაქის აღწერა და პრეზენტაცია,პოსტერი თემაზე „გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა'', სუპერ გმირის პრეზენტაცია და ა.შ. სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელო ასევე ონლაინ რესურსები-თემატური სიმღერები და თემატური დამხმარე ვიდეორგოლები თემის და საკითხის შესახებ ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარებაზე და გრძელვადიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნების მიღწევას უწყობს ხელს. კურიკულუმების მიხედვით, დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. ბარათებს ახლავს მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები და რეფლექსიის კითხვები მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რატომ შეასრულე დავალება? რა ხერხები გამოიყენე? რა გააკეთე დამოუკიდებლად? კათედრების ფუნქციებში გაწერილია კათედრის წევრებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი მუშაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზისას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ისეთ რეგულაციებს სთავაზოსბ, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება. აღწერილიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული კურიკულუმი, არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა;

ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს. მაგ.სახელმწიფო ენის კომპლექსური დავალებების პირობები ხელს უწყობენ მოსწავლეებს რომ შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები: მოთხრობის გაგრძელება, წიგნის ილუსტრირებული გვერდი. რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.), ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის წერის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება „წიგნიერება“. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო თემის დედამიწის ფარგლებში იგეგმება დავალების- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების განხორციელება. აღნიშნული დავალების მიხედვით, ფონური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცოდნის მისაღებად მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს რა ედო საფუძვლად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, როგორ გადაადგილდებოდნენ და რა მეთოდებს იყენებდნენ უძველესი მოგზაურები ახალი ტერიტორიების აღმოსაჩენად, რა მნიშვნელობა ქონდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს კაცობრიობისათვის, როგორ აისახებოდა გარემოზე მოგზაურობის შედეგები. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლემ უნდა მოახდინოს იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება, ალტერნატიული პასუხების ძიება ეს აქტივობები კი როგორც კოგნიტური ოპერაცია კი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, ნებელობის განვითარებას უწყობს ხელს. წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა ასევე ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას ცოდნის კონსტრუირებისას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომას. ეს აჩვენებს, რომ სასწავლო გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ სივრცედ, სადაც გათვალიწინებული იქნება მისი შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ, რომ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა დაწყებით საფეხურზე, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას ჰყავს ორი სპეცმასწავლებელი, ერთი ფსიქოლოგი. სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლების ტრენინგები. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. მაგ. სახელმწიფო ენა- მე-3 კლასში წარმოდგენილია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასება, სადაც სამიზნე ცნებაზე - სიტყვა, წინადადება, ტექსტი- მკვიდრი წარმოდგენების -მიზნის შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების, ტექსტის ერთეულების (მაგ., სათაურის) შერჩევა - ჩამოსაყალიბებლად მასწავლებელს შერჩეული აქვს კრიტერიუმები - აღწეროს ილუსტრაცია საგანთა ადგილმდებარეობისა და თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების, ასევე პერსონაჟის გარეგნული მახასიათებლების გამომხატველი სიტყვების გამოყენებით; იმსჯელოს აღწერითი ტექსტის მახასიათებლებზე. ასევე, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად - მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია დეტალების წარმოჩენა, შინაარსის გამდიდრება. შერჩეულია კრიტერიუმები- მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებით წარმოაჩინოს დეტალები; ისაუბროს, რომელი სიტყვები მოსწონს; ასევე, ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი განმავითარებელი და 5-6 კლასების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათების აქტივობები და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება. მაგ. სპორტში, მნიშვნელოვანია თანმიმდევრული, ორგანიზებული სწავლება, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი ვითარდება ეტაპობრივად და სჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა.

ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ინსტრუმენტები
- კათედრების დებულება
- სსსმ მოსწავლის ინდ. სამოქმედო გეგმის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არსებული შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. სკოლა ჩართულია „ახალის სკოლის“ მოდელში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის, კერძოდ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების განხორციელების გზით შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. განხორციელებული კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ფოტოკოლაჟი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. მაგალითად, ბუნებისმეტყველებაში ჩემი ქვეყნის ბუნების თემის შესწავლისას მე-3 კლასში სამიზნე ცნების - სხეულის დამუშავებისას (კომპლექსური დავალება - ნიკა და შველი) მოსწავლე საკუთარ ცოდნას წარადგენს პოსტერის საშუალებით. აღნიშნული პროდუქტის შექმნა მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყობს ხელს. სკოლას მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი პროექტი „მკითხველთა თეატრი“ და „ჩემი და შენი უფლებები“ „სახალისო არქეოლოგია“, რაც მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას და შემოქმედებით ინდივიდად ჩამოყალიბების საშუალებას. სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის ეზოში განთავსებულია ეზოს ჭადრაკი. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „კარცერლუქსი“, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

აღწერილიდან გამომდინარე, სასკოლო გარემომ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლას აქვს მზაობა რომ მიმიდინარე სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი დააფუძნოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას. მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მაგ. აღწეროს მისთვის სასურველი პლანეტა, აღწეროს და იმჯელოს მისთვის ნაცნობ ცხოველებზე, აღწეროს მის ირგვლის არსებული ხმელეთის ზედაპირი. სპორტის კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. მე-4 კლასში ბუნებისმეტყველებაში წყლის ბრუნვის შესწავლისას უნდა იმსჯელოს, თუ როგორ ხდება წყლის წრებრუნვისას აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება, როგორ და სად წარმოიქმნება წვიმის წვეთები, თოვლის ფიფქები. სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებულია გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, რომლის ერთ-ერთი კრიტერიუმით წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის აგების პროცესი ფასდება. აქედან გამომდინარე, მასწავლებლები იღებენ შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უკუკავშირს და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრების მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს იმსჯელოს საკუთარ გამოცდილებაზე , ინტერესებზე, საკუთარი პოზიციის და დასკვნების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს , რომ ადგილი აქვს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლე შესრულებული დავალებების ანალიზს აკეთებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ინგლისური ენის მე-5 კლასის კომპლექსურ დავალებას ახლავს თვითშეფასების კითხვარი, რომელიც დააფიქრებს მოსწავლეებს მოსმენის და ლაპარაკის სტრატეგიების, ხერხების გამოიყენებაზე, რომელი ხერხები დაეხმარათ ინფორმაციის გაგებაში, რომელი ხერხის გამოყენება შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მისაღწევად. მოყვანილი მაგალითები საწინადრია იმისა, რომ მოსწვალემ სწავლის სწავლაზე გააკეთოს აქცენტი. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე

ინდიკატორი 2.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. დაწყებით საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი, მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. მაგ. კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპლექსური დავალებების: ,,საყვარელი თამაშის პროტოტიპის შექმნა", ,,ჩემი პირველი ანიმაცია",,ტექნოლოგიები ჩვენს ცხოვრებაში" , ,,კიბერუსაფრთხოება" აქტივობების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. რაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითია. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლე დაამუშავებს ფაქტობრივ მასალას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაეცნობა როგორ ააგოს კოგნიტური სქემა, როგორ შექმნას სხვადასხვა პროდუქტები, როგორ გააკეთოს პრეზენტაცია ანუ ადგილი ექნება პროცედურული ცოდნის გააქტიურებას. განიხილავს პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებების და აქტივობებს. მაგ. როგორ შეიძლება შეიცვალოს გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა, შეადაროს თავისი ნამუშევარი კლასელების მიერ დამზადებულ პლანეტების მოდელებს და იმსჯელოს რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სკოლის გარე სივრცეში დამატებითი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ზონის სახით მოწყობილია ეზოს ჭადრაკი . მოტორული უნარების განვითარების მიზნით ასფალტ-ბეტონის საფარი მოხატულია სხვადასხვა ტიპის აქტივობის შესაბამისი გრაფიკული მაორგანიზებლებით/ ილუსტრაციებით. სკოლის ეზოში განთავსებული დამატებითი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ზონით სარგებლობა შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე სასკოლო საზოგადოებისა და თემის წევრებს. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას თქვეს, რომ კომპ. დავალებების გარდა ისინი ახორციელებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც უხვადაა სახელმძღვანელოებში. ბუნებისმეტყველების შესასწავლი საკითხები იძლევა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნისას მოსწავლეები გამოიყენებენ ხელოვნების და მათემატიკის გაკვეთილებზე მიღებულ გამოცდილებას. მაგ. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს აქვს გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების. ასახელებს მე-6 კლასში ისტორიასთან ერთად ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილს თემა-,,საქართველოს კუთხეები“, სადაც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული და შექნეს მრავალფეროვანი რესურსურსები (პრეზენტაციები, რუკები, ბროშურები). უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება სასკოლო ინტეგრირებული პროექტების განხორციელების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოადგენილი სასკოლო პროექტის ნიმუშით „ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია“. სკოლის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი კლასების სხდომის ოქმი,რომლის მიხედვით სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ინტეგრირებულად გეგმავენ 2023 წლისთვის როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ აქტივობებს. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის ოქმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგნაირად: მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ შეიქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. მასწავლებლება ისაუბრეს, რომ კომპ. დავალებები, სახელმძღვანელოებში მოცემული კვლევითი და შემეცნებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობები, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები და შემეცნებითი თამაშები თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას . მე-3 კლასში ბუნებისმეტყველებაში თემის - მზის სისტემა სამიზნე ცნების (მოვლენა) დამუშავებისას კურუკულუმის მიხედვით, უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალება - მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით. მოსწავლეებმა უნდა შექმნან მზის სისტემის მოდელი და იმსჯელონ დღე და ღამის/წელიწადის დროების მონაცვლეობის მიზეზებზე - სიცოცხლისთვის აუცილებელ გარემო პირობებზე. კოსმოსური ნარჩენების მიერ დედამიწისთვის საფრთხის აცილების გზებზე. ამ დავალების ფარგლებში, მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, კომუნიკაცია. რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. სკოლის ეზოში არის სივრცეები, მაგ, არქეოლოგიის კითხე, ბაღი, ეზოს ჭადრაკი რომლებიც ასევე ხელს შეუწყობენ მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,რომ: ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ როგორც სასკოლო ასევე საგნის ჭრილში პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, მაგალითად, ,, ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია“, ,,წრიული ეკონომიკა“ და სხვ. ეს პროექტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასკოლო გარემოს დათვალიერებამ, მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების სოლოტაქსონომიის რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე თვითშეფასების კითხვარში ვნახულობთ ჩანაწერს, სადაც სკოლა ყურადღებას ამახვილებს განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, რაც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და დამტკიცება მოხდება საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის მოხდება მასწავლებლების მიერ. სკოლა გეგმავს მშობლებთან სასწავლო და სააღმზრდელო საკითხებზე შეხვედრებს, სადაც ასევე განიხილება შეფასების მიდგომები. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. გამჭვირვალე, ობიექტურ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამართლიან შეფასებაში კი ისინი მოიაზრებენ შემდეგს: მოსწავლეებს ეცოდინებათ და გააზრებული ექნებათ კრიტერიუმები, მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. სანდოობა კი უზრუნველყოფს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალებისთვის. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე იმას, რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს, როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება“. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები 2023–2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, სადაც აღწერილია როგორ დარეგულირდება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, რაც, გულისხმობს შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი, ვინ უნდა იყოს ვერიფიკატორი, განსაზღვრულია ვერიფიკაციის ფოკუსი, მისი სიხშირე და პერიოდი და საბოლოო ანგარიში, სადაც ნათლად აისახება სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის მე-9 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს შეფასების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. ვერიფიკაცია ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ვერიფიკაციის ჯგუფის“ მიერ. ისინი ადგენენ სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმას, განსაზღვრავენ ვერიფიკაციის განხორციელების განრიგს, უზრუნველყოფენ მის შესრულებას, აანალიზის საფუძველზე ამზადებენ ანგარიშს, რომელიც გაეგზავნება სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ჯგუფთან ერთად ადგენს შესასრულებელი რეკომენდაციების გეგმას. საბოლოო დასკვნა - ვერიფიკაციის შედეგების შესახებ სასწავლო წლის შეჯამებისას წარედგინება სკოლის პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნული დოკუმენტი საშულებას მისცემს დაადგინონ შეფასების ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა და სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, შიდა რეგულაციებით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებებლი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური). სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.2.2.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კომპლექსური დავალებების ბარათები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გვხვდება ჩანაწერი: ,,თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობა სკოლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც აისახება ყოველდღიურ პრაქტიკაში და სასკოლო კულტურის მთავარი კომპონენტია.“ პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და დადებითი კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მასწავლებლები იზრუნებენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება და მოსწავლის მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოსწავლეები თავიანთი ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით ჩართულები იქნებიან არაფორმალურ განათლების სხვადასხვა აქტივობებში. მაგ. სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესში შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს აძლევს მეტაკოგნიციის და თვითრეგულაციის საშუალებას. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. დაწყებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ სუბიექტს. მშობლიური ენის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. განსაკუთრებით აღნიშნეს სულაკაურის გამომცემლობის მიერ ორგანიზებული კონკურსი „ყველაზე წიგნიერი". მოსწავლეებმა შეძლეს ფინალში გასვლა და საჩუქრად მიიღეს საინტერესო წიგნები. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „წიგნოჰოლიკი". სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს პროექტის მართვისა და პროექტის მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც გეგმავენ და ფასილიტაციას უწევენ სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების პროცესებს. 2023-24 სასწ. წელს იგეგმება პროექტების „კულტურული მემკვიდრეობა" და ,,სასკოლო არქოლოგია" გაგრძელება. არნიშნული პროექტები სასკოლო კურიკულუმის ნაწილია და ემსახურება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. უწყვეტ რეჟიმში ხელს უწყობენ მოსწავლეებს, რათა განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიკური. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის დებულით და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა მიიღწევა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზით, მოსაზრებების გაზიარებით. აგრეთვე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც დაწყებითი კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობა და გუნდურობა იქნება სკოლის ატმოსფეროს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. შესაბამისად, ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლაში არსებული კლუბებით და დაგეგმილი პროექტებით მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებში სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს დაცული და თავს გრძნობდეს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.

ინდიკატორი 2.2.3.4.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო პროექტები
- ინგლისური ენი კლუბის წესდება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაწყებითი კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ სხვა კათედრებთან შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება. მიღებული შედეგები დამუშავდება კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნიშნავს ,, რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და რამდენად მიმართულია სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო შედეგამდე. მასწავლებლები შეაფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, გამოკვეთენ და გააანალიზებენ სუსტ მხარეებს, რომლებშიც დახმარება სჭირდებათ, გასცემენ უკუკავშირს, მიგნებების გათვალისწინებით, დაგეგმავენ სწავლის პროცესს, გადაჭრიან პრობლემებს“. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, პედაგოგებთან ინტერვიუებით და წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გაწერილია სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობები როგორიცაა დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური პროექტები (პრეზენტაცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება, ისგ-ის მონიტორინგი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ძირითად პრინციპად მოიაზრება გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, მოზანშწონილობა, გამჭვირვალობა . ამ პროცესის შემადგენელი ეტაპებია ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის აღწერა, შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლისთვისაც იქმნება ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისგან და ინფორმაციის შეგროვება მოხდება სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვით. ამ მიზნით მოხდება კითხვარების შემუშავება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის-მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და თემის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმომადგენლებისათვის და მიეწოდებათ ელექტრონული ან დოკუმენტური ფორმით. ინფორმაციის შეგროვების ეტაპებზე გამოიყენებენ თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს (ანკეტირება, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, შედეგების ანალიზები). პირველადი ანალიზის შემდგომ სკოლა განახორციელებს სიტუაციის ანალიზს, რომლისთვისაც შესაძლოა გამოიყენოს SWOT ან რომელიმე სხვა მეთოდოლოგია . აღნიშნული ანალიზი დაადგენს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტაცია და ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას და სწორ ხედვას კურიკულუმების განვითარების, დახვეწის და შეფასების მიზნით მრავალფეროვანი წყაროების და ხერხების გამოყენებას. სასკოლო თემის, საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა უზრუნველყოფს სუსტი და ძლიერი მხარეების სხვადასხვა, მრავალფეროვანი წყაროებიდან გამოვლენას, დადგენას, ანალიზს და გულისხმობს ერთიან და სისტემურ მიდგომას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული დაწყებითი კათედრა, რომელიც ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებს მრავალფეროვანი წაროებიდან: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია. მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს სკოლის მზაობა შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების და მონიტორინგის პრინციპები და მეთოდები რაც სკოლის თემის, საზოგადოების აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობით განხორციელდება. გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან საოქმედო გეგმაში სასწავლო პროცესის შეფასებისთვის და მონიტორინგის განხორციელებისთვის გაწერილია მრავალფეროვანი აქტივობები და კომპლექსური ბუნების დავალებები (დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური და ინტეგრირებული პროექტები (პრეზენტცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება რაც მრავალფეროვანი კონტექსტის უზრუნველყოფის ხელშემწყობი წინაპირობაა. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებში ასევე გაწერილია კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი თემების და საკითხების გათვალისწინებით რომელიც ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას სხვადსხვა კონტექსტში. მაგ. ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახოციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში. აღწერილი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. 2023 – 2024 სასწავლო წელს დაწყებითი კლასების კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კომპლექსური დავალებებით სწავლებაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის წარმოდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. დაწყებითი კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის კათედრები გაიზიარებენ წინარე გამოცდილებას და მონიტორინგის შედეგებს. მოახდენენ სასწავლო პროცესის სრული სურათის აღწერას და სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების განსაზღვრას. ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახული აქვს კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ ამავდროულად სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს:,, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის განხილვის ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით დირექცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. “ სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი ;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და აღწერს : კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებს / პოზიციებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება არის მუდმივმოქმედი პროცესი, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. დოკუმენტში მოცემულია ცხრილი, რომელიც აჩვენებს მიმართებებს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის: მასწავლებლის, კათედრის თავჯდომარის, სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეების და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ამ ეტაზე საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა და შეიქმნა სასკოლო კურიკულუმი. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას ითანამშრომლეს სხვადასხვა კათედრის წევრებთან და გაითვალისწინეს მათი გამოცდილება, ასევე მოსწავლეების ინტერესები და მშობლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები. ასევე დამატებით საგანმანათლებლო სერვისებზე (კლუბები, წრეები და სხვა), რომლებსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოხდება დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელება და იმ ეფექტების აღწერა, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლის დირექციის წევრებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. კათედრებზე ხდებოდა მასწვალებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები (მაგ. „ჩემი და შენი უფლებები“, „სასკოლო არქეოლოგია“). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დიაგნოსტირებას, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის თვითრეფლექსიას. სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას გაუზიარებს მოსწავლეების მშობლებს და დაადგენს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. საბაზო საფეხურის მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად სკოლა სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო სერვუსებს: ინგლისური ენის კლუბი, ეკოკლუბი, მკითხველთა კლუბი - „კარცერი ლუქსი“. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახოს სასკოლო კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის დოკუმენტაციების და საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან და სკოლის დირექციის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. საბაზოს საფეხურის საგნობრივ კათედრებზე ხდებოდა მასწავლებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა და ასევე თანამშრომლობა სხვადასხვა კათედრის წევრებთან და მათი გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი არსებული ცოდნაც. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეები, მშობლები) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული ჰყავდეს მშობლები. სკოლას გააზრებული აქვს რომ ეს ციკლური პროცესია და მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მნიშვნელოვანია კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია იყოს გაზიარებული და შეთანხმებული. ზოგადად აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ ქსელს და საერთო/ინდივიდუალურ პირდაპირ შეხვედრებს. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს - საერთო/ინდივიდუალური პირდაპირ შეხვედრებს, ინტერაქტიულ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ეს დოკუმენტი უკვე გაზიარებულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გაუზიარდებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. კურიკულუმებში წარმოდგენილია საბაზო საფეხურის სტანდარტებში მოცემული სავალდებულო თემები, თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. კომპლექსური დავალების ბარათებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმის მიხედვით, უნდა განხორციელდეს სამიზნე ცნებების (მატერია, ძალა, ფიზიკური პროცესი) გააზრებაზე დაფუძნებული კონტექსტ-მაგალითი, რომელიც პარაშუტის მოქმედების პრინციპების შესწავლას ემსახურება. უცხო ენა- კომპლექსური დავალებების იდეები- „გლობალური პრობლემები და მათი თავიდან აცილების გზები“, „ თინეიჯერების დამოკიდებულება ციფრულ ტექნოლოგიაზე და ტექნოლოგიის ჩართვა სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესებში'', „რჩევა მეგობარს '',"ქართული პროდუქტის რეკლამა" და სასწავლო რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარებაზე და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს. კურიკულუმების მიხედვით, დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. ბარათებს ახლავს მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები და რეფლექსიის კითხვები მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რატომ შეასრულე დავალება? რა ხერხები გამოიყენე? რა გააკეთე დამოუკიდებლად? კათედრების ფუნქციებში გაწერილია კათედრის წევრებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი მუშაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზისას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ისეთ რეგულაციებს სთავაზობს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით სადამრიგებლო საათზე მოსწავლეთათვის შეთავაზებულია რამდენიმე მიმართულების თემა: პიროვნული და მორალური და სოციალური განვითარება, შემეცნებითი და კულტურული განვითარება, გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი, უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, თვალსაწიერის გაფართოება. ამ თემების დამუშავება ხდება კონკრეტულ გაკვეთილებზეც. ამ მიმართულებების ფარგლებში იმართება საუბრები, ვიქტორინები, შეხვედრები ფსიქოლოგთან, რაც უმეტესად სრულდება მოსწავლეთა უკუკავშირით - რა გაიგეს, რა იყო ახალი, საინტერესო. უკუკავშირი გულისხმობს, ასევე, შეფასებასა და თვითშეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება. აღწერილიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული კურიკულუმი, არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა;

ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს. მაგ.სახელმწიფო ენის კომპლექსური დავალებების პირობები ხელს უწყობენ მოსწავლეებს რომ შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არგუმენტირებული ესე, ზეპირი გამოსვლის ტექსტი, ინტერვიუ და სხვა ხელს უსწყობს შემოქმედებითობის განვითარებას. მე-7 კლასში სამიზნე ცნებაზე- ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა - მასწავლებელს ძირითად საკითხად და კონტექსტმაგალითებად შერჩეული აქვს გ. ლეონიძის მოთხრობა „ჩვენი ჭერამი“ და ალბერ კამიუს „წერილი მასწავლებელს“, ასევე, გ.ლეონიძის „წერილი დედას“. სასწავლო რესურსები: მე-7 კლასის სახელმძღვანელო და ელექტრონული მასალა ლინკის სახით- რას წერდა დედისთვის გულანთებული შვილი გოგლა ლეონიძე. მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე - პერსონაჟის როლის მორგებით წერილის მიწერა ნაწარმოების სხვა პერონაჟისთვის. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით იგეგმება დავალების - ბაყაყის წერილი მეგობარი თევზისადმი, განხორციელება. აღნიშნული დავალების ფარგლებში ფონური ცოდნის მისაღებად უნდა მოხდეს თევზებისა და ამფიბიების გარეგანი და შინაგანი სტრუქტურის, სასიცოცხლო თვისებების შედარებითი ანალიზი. შედარება და დაპირისპირება, როგორც კოგნიტური ოპერაცია, ერთ-ერთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ უნდა მოახდინოს იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება, ალტერნატიული პასუხების ძიება ეს აქტივობები კი როგორც კოგნიტური ოპერაცია კი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, ნებელობის განვითარებას უწყობს ხელს. წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა და მოსწავლეთა თვითმართველობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმების კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას ცოდნის კონსტრუირებისას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომას. ეს აჩვენებს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ სივრცედ, სადაც გათვალიწინებული იქნება მისი შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ, რომ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. მაგ. გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქტივობები საშუალებას იძლევა თითოეულმა მოსწავლემ იკვლიოს და ისწავლოს, ხოლო მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის სტილს, მზაობას და ინტერესებს. მასწავლებელი საკითხის დამუშავებისას მოსწავლეს აძლევს არჩევანის უფლებას, წარმოადგინოს დავალება სასურველი ფორმატით (ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი). ასევე, ტარდება გაკვეთილები დიფერენცირებული მიდგომების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით (სასწავლო მენიუ, გაჩერებებით სწავლა, რაფთი და სხვ.). დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა საბაზო საფეხურზე, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. მაგ, ფიზიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ პარაშუტის თემაზე კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სსსმ მოსწავლემ პარაშუტის მოდელის გაფორმებაში მიიღო მონაწილეობა. სკოლას ჰყავს ორი სპეცმასწავლებელი, ერთი ფსიქოლოგი. სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლების ტრენინგები. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბარათები. მაგ. სპორტის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა ასაკის შესაბამისად. ესთეტიკის კათედრამ მტკიცებულებად წარმოადგინა საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები. მიეცათ რჩევები, ვიზიტის დროს დოკუმენტი ჩასწორდა და კათედრა შეძლებს მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას თემების და საკითხების მიხედვით. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება. მაგ. სპორტში, მნიშვნელოვანია თანმიმდევრული, ორგანიზებული სწავლება, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი ვითარდება ეტაპობრივად და სჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც ,ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩინგის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე შექმნეს,ვიზიტის დროს კი წარმოადგინეს კომპლექსური დავალებებითა და დამატებითი რესურსებით შევსებული ფორმები. სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო ენის კათედრის ოქმი, სადაც განხილულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკითხები: კურიკულუმების შემუშავებაზე მუშაობა, სამოქმედო გეგმა და სხვ. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ინსტრუმენტები
- კათედრების დებულება
- კათედრის ოქმი
- სსსმ მოსწავლის ინდ. სამოქმედო გეგმის ნიმუში
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არსებული შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. სკოლა ჩართულია „ახალის სკოლის“ მოდელში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის, კერძოდ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების განხორციელების გზით შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. განხორციელებული კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ფოტოკოლაჟი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. მაგალითად, მაგალითად, ბიოლოგიაში საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის თემის შესწავლისას მე-8 კლასში ტანადობის დარღვევის მიზეზების და მისი პრევენციის ხერხებს მოსწავლე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარადგენს ბუკლეტის საშუალებით. მოსწავლის მიერ შექმნილი ბუკლეტი არის მისი შემოქმედებითობის ამსახველი მასალა. საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - ზეპირი გამოსვლის ტექსტის შექმნა, მონოლოგისა და დღიურის წერა, ხედვის კუთხის შეცვლით ამბის თხრობა და სხვ. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „კარცერლუქსი", „ეკოკლუბი". საბაზო საფეხურზე სკოლა ახორციელებს პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სკოლას მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი პროექტი „მკითხველთა თეატრი" და „ჩემი და შენი უფლებები" „სახალისო არქეოლოგია", რაც მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას და შემოქმედებით ინდივიდად ჩამოყალიბების საშუალებას. სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „კარცერლუქსი", რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. აღწერილიდან გამომდინარე, სასკოლო გარემომ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლას აქვს მზაობა რომ მიმიდინარე სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი დააფუძნოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების დავალებები და რესურსები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას. მოსწავლეს მოუწევს შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა. მაგ.სახელმწიფო ენა, მე-8 კლასში მოსწავლეთათვის შემოტანილია ნაცნობი თემა - არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ქვეყანაში საკმაოდ დიდია. ასევე, ნაცნობია მათთვის მოხუცთა და ბავშვთა პრობლემები. სწორედ აქედან გამომდინარე დაგეგმილია კომპლექსური დავალება- არასამთავრობო ორგანიზაციის წევრის მიერ დამარწმუნებელი საჯარო გამოსვლის ტექსტის დაწერა მიუსაფარ მოხუცთა და ბავშვთა პრობლემებზე. ზეპირი გამოსვლის ტექსტში უნდა გამოკვეთონ პრობლემის მიზეზები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგები, ასევე, პრობლემის მოგვარების ხედვა და კონკრეტული მაგალითების მოხმობით შეძლონ მათ დასახმარებლად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეების დარწმუნება. ნამუშევარში უნდა გაითვალისწინონ აუდიტორია, გამოიყენონ რიტორიკის შესაბამისი ელემენტები, წინადადების შეკავშირების წესების ცოდნა და ზეპირი გამოსვლის ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურა. ასე მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია ისეთი თემები, საკითხები (მე და ჩემი მეგობარი;ცხოვრების ჯანსაღი სტილი-სოციალური მედიის უარყოფითი ზეგავლენა და მეგობრისთვის რჩევის მიცემა სპორტის სახეობასთან დაკავშირებით; მოსწავლეების ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება და ა.შ.) რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ , რეალურ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. მე-7 კლასში ფიზიკაში სამიზნე ცნებების - მატერიის და ფიზიკური პროცესის დამუშავებისას კოქტეილის თემაზე კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლეს უწევს დაფიქრება ყოფა-ცხოვრებიდან მისთვის ნაცნობ პროცესზე: ლარნაკში მოთავსებული ვარდების სურნელი მთელ ოთახში იგრძნობა. ლარნაკი მინისგანაა დამზადებული. მინის სუნი კი არ იგრძნობა. მოსწავლემ უნდა ახსნას ეს მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით, გააკეთოს ანალოგია და შექმნას საინტერესო პროდუქტი. ამ მიმართულებით სკოლა პროექტებსაც ახორციელებს, ჰყავს პროექტის მართვის ჯგუფი. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. კათედრების მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს იმსჯელოს საკუთარ გამოცდილებაზე , ინტერესებზე, საკუთარი პოზიციის და დასკვნების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს , რომ ადგილი აქვს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლას. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლე შესრულებული დავალებების ანალიზს აკეთებს. მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კომპლექსური დავალებების მატრიცაში ჩაშენებულია კითხვები: როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას? დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში? რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პროდუქტის შექმნის დროს? წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული? მსგავსი კითხვები თანდართული აქვს საბაზო საფეხურის ყველას საგნის კომპლექსურ დავალებებს, ვინაიდან ეს არის კომპ. დავალების ერთ-ერთი კრიტერიუმი. მოყვანილი მაგალითები საწინადრია იმისა, რომ მოსწავლემ სწავლის სწავლაზე გააკეთოს აქცენტი. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე

ინდიკატორი 2.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი, მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. მაგ. სპორტის გაკვეთილებზე ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლე დაამუშავებს ფაქტობრივ მასალას, გაეცნობა როგორ ააგოს კოგნიტური სქემა, როგორ შექმნას სხვადასხვა პროდუქტები, როგორ გააკეთოს პრეზენტაცია ანუ ადგილი ექნება პროცედურული ცოდნის გააქტიურებას. განიხილავს პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებების და აქტივობებს. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. სკოლას მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმი ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას თქვეს, რომ კომპ. დავალებების გარდა ისინი ახორციელებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც უხვადაა სახელმძღვანელოებში. საგნობრივი სტანდარტები კი იძლევა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საბაზო საფეხურზე ქმნიან მონოლოგებს, დღიურებს, არგუმენტირებულ ესე, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. სპორტის კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლაში იგეგმება არაფორმალური ღონისძიებები, ინტეგრირებული და სოციალური პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები, სადამრიგებლო საათები და სხვა. ეს აქტივობები ხელს შეუწყობს საგანთა შორის ინტეგრაციის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ითვალისწინებს. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის ოქმი
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგნაირად: მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ შეიქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. მასწავლებლება ისაუბრეს, რომ კომპ. დავალებები, სახელმძღვანელოებში მოცემული კვლევითი და შემეცნებით აქტივობები, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, პროექტები და კლუბები ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.მაგ. სპორტი- მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა სპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ. მე-9 კლასში ბიოლოგიაში თემის - რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა, სამიზნე ცნების (სტრუქტურა და ფუნქცია) დამუშავებისას კურუკულუმის მიხედვით, უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალება - განაყოფიერება ადამიანში და ნაყოფის განვითარება. მოსწავლეებმა უნდა შექმნან მომავალი ახალგაზრდა მშობლებისთვის საინფორმაციო ბროშურა ნაყოფის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. ამ დავალების ფარგლებში, მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,რომ: ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს". ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ როგორც სასკოლო ასევე საგნის ჭრილში პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, მაგალითად, ,, ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია", ,,წრიული ეკონომიკა" და სხვ. ეს პროექტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასკოლო გარემოს დათვალიერებამ, მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების სოლოტაქსონომიის რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე თვითშეფასების კითხვარში ვნახულობთ ჩანაწერს, სადაც სკოლა ყურადღებას ამახვილებს განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, რაც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და დამტკიცება მოხდა საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის მოხდება მასწავლებლების მიერ უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში. სკოლა გეგმავს მშობლებთან სასწავლო და სააღმზრდელო საკითხებზე შეხვედრებს, სადაც ასევე განიხილება შეფასების მიდგომები. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებაში კი ისინი მოიაზრებენ შემდეგს: მოსწავლეებს ეცოდინებათ და გააზრებული ექნებათ კრიტერიუმები, მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. სანდოობა კი უზრუნველყოფს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალებისთვის. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე ი მ ა ს , რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს, როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება". ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საბაზო საფეხურის პედაგოგები 2023–2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა ჩართვას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი", სადაც აღწერილია როგორ დარეგულირდება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, რაც, გულისხმობს შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი, ვინ უნდა იყოს ვერიფიკატორი, განსაზღვრულია ვერიფიკაციის ფოკუსი, მისი სიხშირე და პერიოდი და საბოლოო ანგარიში, სადაც ნათლად აისახება სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის მე-9 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს შეფასების სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისათვის". ვერიფიკაცია ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ვერიფიკაციის ჯგუფის" მიერ. ისინი ადგენენ სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმას, განსაზღვრავენ ვერიფიკაციის განხორციელების განრიგს, უზრუნველყოფენ მის შესრულებას, აანალიზის საფუძველზე ამზადებენ ანგარიშს, რომელიც გაეგზავნება სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ჯგუფთან ერთად ადგენს შესასრულებელი რეკომენდაციების გეგმას. საბოლოო დასკვნა - ვერიფიკაციის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ სასწავლო წლის შეჯამებისას წარედგინება სკოლის პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნული დოკუმენტი საშულებას მისცემს დაადგინონ შეფასების ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა და სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, შიდა რეგულაციებით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური). სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კომპლექსური დავალებების ბარათები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გვხვდება ჩანაწერი: ,,თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობა სკოლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც აისახება ყოველდღიურ პრაქტიკაში და სასკოლო კულტურის მთავარი კომპონენტია.“ პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და დადებითი კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მასწავლებლები იზრუნებენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება და მოსწავლის მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოსწავლეები თავიანთი ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით ჩართულები იქნებიან არაფორმალურ განათლების სხვადასხვა აქტივობებში. მაგ. სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. სპორტის მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესში შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს აძლევს მეტაკოგნიციის და თვითრეგულაციის საშუალებას. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. მშობლიური ენის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „წიგნოჰოლიკი“. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს პროექტის მართვისა და პროექტის მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც გეგმავენ და ფასილიტაციას უწევენ სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების პროცესებს. 2023-24 სასწ. წელს იგეგმება პროექტების „კულტურული მემკვიდრეობა“ და ,,სასკოლო არექოლოგია“ გაგრძელება. აღნიშნული პროექტები სასკოლო კურიკულუმის ნაწილია და ემსახურება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის დებულებაში წერია, რომ თვითმართველობა ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას და მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. უწყვეტ რეჟიმში ხელს უწყობენ მოსწავლეებს, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიკური. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის დებულით და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა მიიღწევა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზით, მოსაზრებების გაზიარებით. აგრეთვე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც დაწყებითი კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობა და გუნდურობა იქნება სკოლის ატმოსფეროს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. 2023-24 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საბაზო საფეხურის სადამრიგებლო საათის თემები: უნდა გვეშინოდეს თუ არა კრიტიკის, იუმორი ჩვენს ცხოვრებაში, რას ნიშნავს ვიყო მოზარდი - თინეიჯერი? და სხვა. რაც ხელს უწყობს კლასში და სკოლაში დადებითი გარემოს დამკვიდრებას. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. შესაბამისად, ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სკოლაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლუბებით და დაგეგმილი პროექტებით მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებში სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს დაცული და თავს გრძნობდეს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.

ინდიკატორი 2.2.3.4.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო პროექტები
- ინგლისური ენი კლუბის წესდება
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, შერჩეული აქვთ 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ სხვა კათედრებთან შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება. მიღებული შედეგები დამუშავდება კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნიშნავს ,, რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და რამდენად მიმართულია სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო შედეგამდე. მასწავლებლები შეაფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, გამოკვეთენ და გააანალიზებენ სუსტ მხარეებს, რომლებშიც დახმარება სჭირდებათ, გასცემენ უკუკავშირს, მიგნებების გათვალისწინებით, დაგეგმავენ სწავლის პროცესს, გადაჭრიან პრობლემებს“. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, პედაგოგებთან ინტერვიუებით და წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გაწერილია სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობები როგორიცაა დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური პროექტები (პრეზენტაცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება, ისგ-ის მონიტორინგი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ძირითად პრინციპად მოიაზრება გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, მოზანშწონილობა, გამჭვირვალობა . ამ პროცესის შემადგენელი ეტაპებია ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის აღწერა, შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლისთვისაც იქმნება ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისგან და ინფორმაციის შეგროვება მოხდება სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვით. ამ მიზნით მოხდება კითხვარების შემუშავება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის-მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და თემის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმომადგენლებისათვის და მიეწოდებათ ელექტრონული ან დოკუმენტური ფორმით. ინფორმაციის შეგროვების ეტაპებზე გამოიყენებენ თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს (ანკეტირება, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, შედეგების ანალიზები). პირველადი ანალიზის შემდგომ სკოლა განახორციელებს სიტუაციის ანალიზს, რომლისთვისაც შესაძლოა გამოიყენოს SWOT ან რომელიმე სხვა მეთოდოლოგია . აღნიშნული ანალიზი დაადგენს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტაცია და ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას და სწორ ხედვას კურიკულუმების განვითარების, დახვეწის და შეფასების მიზნით მრავალფეროვანი წყაროების და ხერხების გამოყენებას. სასკოლო თემის, საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა უზრუნველყოფს სუსტი და ძლიერი მხარეების სხვადასხვა, მრავალფეროვანი წყაროებიდან გამოვლენას, დადგენას, ანალიზს და გულისხმობს ერთიან და სისტემურ მიდგომას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი კათედრა. კათედრის წევრები ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებენ მრავალფეროვანი წაროებიდან: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია. მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს სკოლის მზაობა შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების და მონიტორინგის პრინციპები და მეთოდები რაც სკოლის თემის, საზოგადოების აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობით განხორციელდება. გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან საოქმედო გეგმაში სასწავლო პროცესის შეფასებისთვის და მონიტორინგის განხორციელებისთვის გაწერილია მრავალფეროვანი აქტივობები და კომპლექსური ბუნების დავალებები (დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური და ინტეგრირებული პროექტები (პრეზენტცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება რაც მრავალფეროვანი კონტექსტის უზრუნველყოფის ხელშემწყობი წინაპირობაა. საბაზო საფეხურის საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებში ასევე გაწერილია კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი თემების და საკითხების გათვალისწინებით რომელიც ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას სხვადსხვა კონტექსტში. მაგ. ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახოციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში. აღწერილი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. 2023 – 2024 სასწავლო წელს საბაზო საფეხურის ყველა საგნობრივი კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კომპლექსური და კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებით სწავლებაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-24 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის წარმოდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის კათედრები გაიზიარებენ წინარე გამოცდილებას და მონიტორინგის შედეგებს. მოახდენენ სასწავლო პროცესის სრული სურათის აღწერას და სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების განსაზღვრას. ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახული აქვს კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ ამავდროულად სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს:,, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის განხილვის ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით დირექცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. “ სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი ;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და აღწერს : კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებს / პოზიციებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება არის მუდმივმოქმედი პროცესი, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. დოკუმენტში მოცემულია ცხრილი, რომელიც აჩვენებს მიმართებებს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის: მასწავლებლის, კათედრის თავჯდომარის, სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეების და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნა სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმი. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას ითანამშრომლეს სხვადასხვა კათედრის წევრებთან და გაითვალისწინეს მათი გამოცდილება, ასევე მოსწავლეების ინტერესები და მშობლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები. ასევე დამატებით საგანმანათლებლო სერვისებზე (კლუბები, წრეები და სხვა), რომლებსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოხდება დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელება და იმ ეფექტების აღწერა, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლის დირექციის წევრებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. კათედრებზე ხდებოდა მასწვალებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო პროექტებზე და რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები (მაგ. „ჩემი და შენი უფლებები“, „სასკოლო არქეოლოგია“). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: მოსწავლის მიღწევების და ინტერესების დიაგნოსტირებას, მოსწავლის თვითშეფასებას, მასწავლებლის თვითრეფლექსიას. სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას გაუზიარებს მოსწავლეების მშობლებს და დაადგენს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. სასკოლო კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად სკოლა სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო სერვუსებს: ინგლისური ენის კლუბი, ეკოკლუბი, მკითხველთა კლუბი - „კარცერი ლუქსი". მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახოს სასკოლო კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის და მოსწავლეების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის დოკუმენტაციების და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან და სკოლის დირექციის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. კათედრებზე ხდებოდა მასწავლებლების ინდივიდუალური მოსაზრებების კოლეგებთან ერთად განხილვა და ასევე თანამშრომლობა სხვადასხვა კათედრის წევრებთან და მათი გამოცდილების გაზიარება. ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი არსებული ცოდნაც. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეები, მშობლები) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული ჰყავდეს მშობლები. სკოლას გააზრებული აქვს რომ ეს ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მნიშვნელოვანია კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია იყოს გაზიარებული და შეთანხმებული. ზოგადად აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ ქსელს და საერთო/ინდივიდუალურ პირდაპირ შეხვედრებს. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს - საერთო/ინდივიდუალური პირდაპირ შეხვედრებს, ინტერაქტიულ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ეს დოკუმენტი უკვე გაზიარებულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გაუზიარდებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. კურიკულუმებში წარმოდგენილია საშუალო საფეხურის სტანდარტებში მოცემული სავალდებულო თემები, თემატური ბლოკების, თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. კომპლექსური დავალების ბარათებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის წარმოდგენილი. მე-10 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, უნდა განხორციელდეს სამიზნე ცნებების (მატერია, ძალა, ენერგია ფიზიკური პროცესი) გააზრებაზე დაფუძნებული კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ფარადეის გალიის მოქმედების პრინციპების შესწავლას ემსახურება. უცხო ენის კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები- „პრეზენტაცია შენი და შენი ახლობლის (მეგობრის,ოჯახის წევრის,ნათესავის,კლასელის და ა.შ.) ურთიერთობების შესახებ'', "რომელ პროფესიას ვირჩევთ ჩვენ" ,"აარჩიე საკუთარი ქვეყნის ტრადიციული კერძი და გაუწიე რეკლამა'', საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმების მიხედვით, დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. ბარათებს ახლავს მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები და რეფლექსიის კითხვები მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რატომ შეასრულე დავალება? რა ხერხები გამოიყენე? რა გააკეთე დამოუკიდებლად? კათედრების ფუნქციებში გაწერილია კათედრის წევრებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი მუშაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზისას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ისეთ რეგულაციებს **სთავაზობს**, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად სკოლა სთავაზობს არჩევით საგნებს: X კლასში - ხელოვნების ისტორია; გარემო და მდგრადი განვითარება; XI კლასში - ხელოვნების ისტორია; გარემო და მდგრადი განვითარება, სამედიცინო ბიოლოგია; XII კლასში – ფრანგული ენა, გარემო და მდგრადი განვითარება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება. აღწერილიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული კურიკულუმი, არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა;

ინდიკატორი 2.1 2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს. მაგ.სახელმწიფო ენის, მე-10 კლასის კომპლექსური დავალებების პირობები სამიზნე ცნებაზე- ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები არის ორიენტირებული, კონტექსტი - მასწავლებელს ძირითად საკითხად და კონტექსტმაგალითებად შერჩეული აქვს გიორგი მერჩულის ,,ცხორებაი წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაი"და ვასილ ბარნოვის ,,ტრფობა წამებული", გიორგი მთაწმინდელის ,,ცხორებაი იოანესი და ეფთვიმესი". მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე - საინფორმაციო-ანალიტიკური ტექსტის დაწერა ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა" და მისი მნიშვნელობის შესახებ თხზულების ახლადაღმომჩენის, დავით ჩუბინაშვილის, ხედვის კუთხიდან. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია - ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები და კონტექსტი. სასწავლო პროცესში მუშაობა დროს მოსწავლემ უნდა მოახდინოს იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება, ალტერნატიული პასუხების ძიება ეს აქტივობები კი როგორც კოგნიტური ოპერაცია კი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობის, კრიტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აზროვნების, ნებელობის განვითარებას უწყობს ხელს. საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც სასწავლო წლის მანძილზე მოხდება კომპლექსური ბუნების მქონე დავალების,პროექტების, წრეების ფარგლებში. მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, უჯრედის ბიოლოგიის თემი ფარგლეში იგეგმება დავალების - მაკეტის/ნახატის/სქემის საშუალებით ქალაქსა და უჯრედს შორის ანალოგიის დემონსტრირება.აღნიშნული დავალების მიხედვით, ფონური ცოდნის მისაღებად უნდა მოხდეს დიფუზიისა და აქტიური ტრანსპორტის შედარება, უჯრედის გარსისა და ბირთვის გარსის შედარება, მიტოქონდრიისა და ქლოროპლასტის სტრუქტურისა და ფუნქციების შედარება. შედარება და დაპირისპირება, როგორც კოგნიტური ოპერაცია, ერთ-ერთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. ამ ეტაპზე საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იქნება მრავალფეროვანი დავალებები, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლების ტრენინგები და სხვა სკოლებში მუშაობით აქვთ ამის გამოცდილება. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებები. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. მაგ. სახელმწიფო ენის, მე-10 კლასში წარმოდგენილია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ერთ-ერთი აქტივობის შეფასების რუბრიკა, რომელიც სამიზნე ცნება- ჟანრთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების განსასაზღვრად შემუშავებულია რუბრიკა-მოსწავლეს შეუძლია, იმსჯელოს წარმოსახვითი ინტერვიუს ძირითად მახასიათებლებზე. ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მორგებულია შესასწავლ თემებზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება. მაგ. თვითშეფასების კითხვარში და მასწავლებელთა კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა 2022-2023 სასწ, წელს პირველად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ახორციელებდა პროექტულ სწავლებას ხელოვნების საგანში. არჩეულ იქნა „პროექტული სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში“. ხელოვნების პედაგოგმა ინტერვიუს პროცესში დააადასტურა, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებს სახელმძღვანელოს და ამუშავებს მოცემულ საკითხებს. კათედრამ ექვსი ასარჩევი პროექტიდან აარჩია ორი პროექტი და განახორციელა რაც დგინდება მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კურიკულუმით („ დღეს არსებული სახელოვნებო პროფესიები: შემოქმედება და წარმატებული კარიერა“ და „ჩემი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, კვლევა, პოპულარიზაცია“). 2023-23 სასწავლო წლისთვის, დაგეგმავენ მოსწავლეთა კონფერენციებს, პროექტის უფრო მასშტაბურად შესრულებას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა ფოკუს-ჯგუფში აღნიშნეს, მათ გააჩნიათ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელების გამოცდილება და წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალების პროდუქტები-მოდელები, ბუკლეტები, სტატიები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას ისინი ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებული გამოცდილებასა და გამოწვევებს, კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიებს, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ. ისინი ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც ,ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩინგის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე შექმნეს, ვიზიტის დროს კი წარმოადგინეს კომპლექსური დავალებებითა და დამატებითი რესურსებით შევსებული ფორმები. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ინსტრუმენტები
- კათედრების დებულება
- სახელმწიფო ენის კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არსებული შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. სკოლა ჩართულია „ახალის სკოლის“ მოდელში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის, კერძოდ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების განხორციელების გზით შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. განხორციელებული კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ფოტოკოლაჟი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. მაგალითად, ფიზიკაში გეომეტრიული ოპტიკის თემის შესწავლისას მე-11 კლასში მირაჟის მოვლენის შესახებ მოსწავლე საკუთარ ცოდნას წარადგენს პოსტერის საშუალებით. მოსწავლის მიერ შექმნილი პოსტერი არის მისი შემოქმედებითობის ამსახველი მასალა. მტკიცებულების სახით ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა პროექტები „ჩემი და შენი უფლებები“ და „სახალისო არქეოლოგია“ ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეიმუშავებენ პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „კარცერლუქსი“, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. აღწერილიდან გამომდინარე, სასკოლო გარემომ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლას აქვს მზაობა რომ მიმიდინარე სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი დააფუძნოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების დავალებები და რესურსები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას. მოსწავლეს მოუწევს შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა. მაგ.სახელმწიფო ენა, მე-11 კლასის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალება, რომელიც 21-ე საუკუნის მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობ თემას ეხება-სიღარიბე, როგორც ადამიანის მორალური გადაგვარების ერთ-ერთი ფაქტორი. მოსწავლეებმა შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით უნდა მოამზადონ და გამართონ დისკუსია თემაზე: სიღარიბის გავლენა საზოგადოების ცხოვრების წესსა და ზნეობრივ ფასეულობებზე, იმსჯელონ ამ ზეგავლენის დაძლევის გზებზე. წარმოადგინონ სათანადო არგუმენტები და მათთან დაკავშირებული მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან/რეალური ცხოვრებიდან/ სხვა წყაროებიდან... ნამუშევარში უნდა გაითვალისწინონ აუდიტორია, გამოიყენონ რიტორიკის შესაბამისი ელემენტები, წინადადების შეკავშირების წესების ცოდნა და დიკუსიის მახასიათებლები. ასე მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. მე-10 კლასში ქიმიაში ქიმიური ბმის ტიპების შესწავლისას კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლეს უწევს დაფიქრება, მხოლოდ ერთი - ლღობის ტემპერატურის განსხვავებით ქიმიური ნივთიერებები შეიძლება თუ არა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მოსწავლემ უნდა ახსნას ეს საკითხი მეცნიერების თვალსაზრისით, გააკეთოს ანალოგია და შექმნას საინტერესო პროდუქტი - საინფორმაციო ბუკლეტი. კათედრების მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა ახალი ცოდნის კონსტრუირება განახორციელოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს იმსჯელოს საკუთარ გამოცდილებაზე , ინტერესებზე, საკუთარი პოზიციის და დასკვნების ჩამოყალიბებაზე მიუთითებს , რომ ადგილი აქვს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლას. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლე შესრულებული დავალებების ანალიზს აკეთებს. მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კომპლექსური დავალებების მატრიცაში ჩაშენებულია კითხვები: როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას? დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში? რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პროდუქტის შექმნის დროს? წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად? შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული? მსგავსი კითხვები თანდართული აქვს საშუალო საფეხურის ყველას საგნის კომპლექსურ დავალებებს, ვინაიდან ეს არის კომპ. დავალების ერთ-ერთი კრიტერიუმი. ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. მოყვანილი მაგალითები საწინადრია იმისა, რომ მოსწვალემ სწავლის სწავლაზე გააკეთოს აქცენტი. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე

ინდიკატორი 2.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი, მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. მაგ. სპორტის გაკვეთილებზე ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. სახელმწიფო ენის კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ ანალიტიკურ ესედ, დისკუსიად, ისტორიულ ქრონიკად და სხვ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლე დაამუშავებს ფაქტობრივ მასალას, გაეცნობა როგორ ააგოს კოგნიტური სქემა, როგორ შექმნას სხვადასხვა პროდუქტები, როგორ გააკეთოს პრეზენტაცია ანუ ადგილი ექნება პროცედურული ცოდნის გააქტიურებას. განიხილავს პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებების და აქტივობებს. საბუნებისმეტყველო საგნების კვლევითი დავალებები ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა აგებული რომ მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას თქვეს, რომ კომპ. დავალებების გარდა ისინი ახორციელებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც უხვადაა სახელმძღვანელოებში. საგნობრივი სტანდარტები კი იძლევა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საშუალო საფეხურზე ქმნიან მონოლოგებს, დღიურებს, არგუმენტირებულ ესე, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. სპორტის კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლაში იგეგმება არაფორმალური ღონისძიებები, ინტეგრირებული და სოციალური პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები, სადამრიგებლო საათები და სხვა. ეს აქტივობები ხელს შეუწყობს საგანთა შორის ინტეგრაციის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ითვალისწინებს. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის ოქმი
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემატური ბლოკების, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგნაირად: მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ შეიქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. მასწავლებლება ისაუბრეს, რომ კომპ. დავალებები, სახელმძღვანელოებში მოცემული კვლევითი და შემეცნებით აქტივობები, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, პროექტები და კლუბები ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სოციალურ განვითარებას.მაგ. სპორტი- მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა სპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთან ერთად მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა თეორიულ ცოდნას, სპორტის დისციპლინების, სპორტსმენებისა თუ ღონისძიებების შესახებ. მე-10 კლასში ქიმიაში თემის - ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმა, სამიზნე ცნების (ფიზიკური და ქიმიური მოვლენები) დამუშავებისას კურუკულუმის მიხედვით, უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალება - გალიუმის ფიზიკური თვისებების გაცნობა. მოსწავლეებმა უნდა შექმნან საინფორმაციო ბუკლეტი ერთადერთ მეტალ გალიუმზე, რომლის გალღობაც ხელის გულზე შეიძლება. ამ დავალების ფარგლებში, მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა. სასწავლო პროცესი მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,რომ: ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ როგორც სასკოლო ასევე საგნის ჭრილში პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, მაგალითად, ,, ჩემი და შენი უფლებები ჩვენი მომავალია“, ,,წრიული ეკონომიკა“ და სხვ. ეს პროექტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასკოლო გარემოს დათვალიერებამ, მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების სოლოტაქსონომიის რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე თვითშეფასების კითხვარში ვნახულობთ ჩანაწერს, სადაც სკოლა ყურადღებას ამახვილებს განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, რაც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და დამტკიცება მოხდა საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის მოხდება მასწავლებლების მიერ უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში. სკოლა გეგმავს მშობლებთან სასწავლო და სააღმზრდელო საკითხებზე შეხვედრებს, სადაც ასევე განიხილება შეფასების მიდგომები. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებაში კი ისინი მოიაზრებენ შემდეგს: მოსწავლეებს ეცოდინებათ და გააზრებული ექნებათ კრიტერიუმები, მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არის მისაღები. სანდოობა კი უზრუნველყოფს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალებისთვის. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე იმას, რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს, როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ „ შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა, რომ შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება“. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023–2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა ჩართვას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, სადაც აღწერილია როგორ დარეგულირდება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია ვერიფიკაციის მიზანი, მიმართულებები, რაც, გულისხმობს შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი, ვინ უნდა იყოს ვერიფიკატორი, განსაზღვრულია ვერიფიკაციის ფოკუსი, მისი სიხშირე და პერიოდი და საბოლოო ანგარიში, სადაც ნათლად აისახება სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის მე-9 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. ვერიფიკაცია ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ვერიფიკაციის ჯგუფის“ მიერ. ისინი ადგენენ სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმას, განსაზღვრავენ ვერიფიკაციის განხორციელების განრიგს, უზრუნველყოფენ მის შესრულებას, აანალიზის საფუძველზე ამზადებენ ანგარიშს, რომელიც გაეგზავნება სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ჯგუფთან ერთად ადგენს შესასრულებელი რეკომენდაციების გეგმას. საბოლოო დასკვნა - ვერიფიკაციის შედეგების შესახებ სასწავლო წლის შეჯამებისას წარედგინება სკოლის პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნული დოკუმენტი საშულებას მისცემს დაადგინონ შეფასების ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა და სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლეთა შეფასებები აღირაცხება ელექტრონულ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, შიდა რეგულაციებით განსაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, კურიკულუმის, პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, შეფასების მასალების შენახვის წესი და ფორმა (ელექტრონული, მატერიალური). სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კომპლექსური დავალებების ბარათები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გვხვდება ჩანაწერი: ,,თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობა სკოლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც აისახება ყოველდღიურ პრაქტიკაში და სასკოლო კულტურის მთავარი კომპონენტია.“ პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და დადებითი კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მასწავლებლები იზრუნებენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი მოსაზრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოთქმის საშუალება და მოსწავლის მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოსწავლეები თავიანთი ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით ჩართულები იქნებიან არაფორმალურ განათლების სხვადასხვა აქტივობებში. მაგ. სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს. მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. სპორტის მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება. დირექცია იღებს მონაწილეობას შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესში შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს აძლევს მეტაკოგნიციის და თვითრეგულაციის საშუალებას. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მშობლიური ენის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „წიგნოჰოლიკი“. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს პროექტის მართვისა და პროექტის მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც გეგმავენ და ფასილიტაციას უწევენ სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების პროცესებს. 2023-24 სასწ. წელს იგეგმება პროექტების „კულტურული მემკვიდრეობა“ და ,,სასკოლო არქოლოგია“ გაგრძელება. აღნიშნული პროექტები სასკოლო კურიკულუმის ნაწილია და ემსახურება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის დებულებაში წერია, რომ თვითმართველობა ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას და მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. უწყვეტ რეჟიმში ხელს უწყობენ მოსწავლეებს, რათა განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიკური. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის დებულით და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა მიიღწევა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზით, მოსაზრებების გაზიარებით. აგრეთვე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც დაწყებითი კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობა და გუნდურობა იქნება სკოლის ატმოსფეროს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ინდიკატორი 2.2.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. შესაბამისად, ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სკოლაში არსებული კლუბებით და დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტებით მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებში სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს დაცული და თავს გრძნობდეს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.

ინდიკატორი 2.2.3.4.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ს ა შ უა ლო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო პროექტები
- ინგლისური ენი კლუბის წესდება
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, შერჩეული აქვთ 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ სხვა კათედრებთან შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება. მიღებული შედეგები დამუშავდება კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნიშნავს ,, რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და რამდენად მიმართულია სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო შედეგამდე. მასწავლებლები შეაფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, გამოკვეთენ და გააანალიზებენ სუსტ მხარეებს, რომლებშიც დახმარება სჭირდებათ, გასცემენ უკუკავშირს, მიგნებების გათვალისწინებით, დაგეგმავენ სწავლის პროცესს, გადაჭრიან პრობლემებს“. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, პედაგოგებთან ინტერვიუებით და წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გაწერილია სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობები როგორიცაა დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური პროექტები (პრეზენტაცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება, ისგ-ის მონიტორინგი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ძირითად პრინციპად მოიაზრება გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, მოზანშწონილობა, გამჭვირვალობა . ამ პროცესის შემადგენელი ეტაპებია ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის აღწერა, შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლისთვისაც იქმნება ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისგან და ინფორმაციის შეგროვება მოხდება სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვით. ამ მიზნით მოხდება კითხვარების შემუშავება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის-მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და თემის სხვა წარმომადგენლებისათვის და მიეწოდებათ ელექტრონული ან დოკუმენტური ფორმით. ინფორმაციის შეგროვების ეტაპებზე გამოიყენებენ თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს (ანკეტირება, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, შედეგების ანალიზები). პირველადი ანალიზის შემდგომ სკოლა განახორციელებს სიტუაციის ანალიზს, რომლისთვისაც შესაძლოა გამოიყენოს SWOT ან რომელიმე სხვა მეთოდოლოგია . აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზი დაადგენს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტაცია და ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას და სწორ ხედვას კურიკულუმების განვითარების, დახვეწის და შეფასების მიზნით მრავალფეროვანი წყაროების და ხერხების გამოყენებას. სასკოლო თემის, საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა უზრუნველყოფს სუსტი და ძლიერი მხარეების სხვადასხვა, მრავალფეროვანი წყაროებიდან გამოვლენას, დადგენას, ანალიზს და გულისხმობს ერთიან და სისტემურ მიდგომას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივი კათედრა. კათედრის წევრები ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებენ მრავალფეროვანი წაროებიდან: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია. მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს სკოლის მზაობა შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების და მონიტორინგის პრინციპები და მეთოდები რაც სკოლის თემის, საზოგადოების აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობით განხორციელდება. გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან საოქმედო გეგმაში სასწავლო პროცესის შეფასებისთვის და მონიტორინგის განხორციელებისთვის გაწერილია მრავალფეროვანი აქტივობები და კომპლექსური ბუნების დავალებები (დიაგნოსტიკური წერები, კითხვარები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, სასკოლო/სოციალური და ინტეგრირებული პროექტები (პრეზენტცია, კონკურსი, კონფერენცია, მიზნობრივი ექსკურსია და სხვა), საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და დაკვირვება რაც მრავალფეროვანი კონტექსტის უზრუნველყოფის ხელშემწყობი წინაპირობაა. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასევე გაწერილია კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი თემების და საკითხების გათვალისწინებით რომელიც ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას სხვადსხვა კონტექსტში. აღწერილი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. 2023 – 2024 სასწავლო წელს ს ა შ უა ლო საფეხურის ყველა საგნობრივი კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. კომპლექსური და კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებით სწავლებაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის წარმოდგენილი ,,კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. ,,პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს" ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:,,კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე." ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის კათედრები გაიზიარებენ წინარე გამოცდილებას და მონიტორინგის შედეგებს. მოახდენენ სასწავლო პროცესის სრული სურათის აღწერას და სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების განსაზღვრას. ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახული აქვს კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ ამავდროულად სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს:,, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის განხილვის ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით დირექცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. “ სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმი ;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……
……
……
……

13.10.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---